გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 98
(11 350)

17 – 20 დეკემბერი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვინ — ვის?



# მოჭადრაკეებს გათვლა არ უნდა ეშლებოდეთ!

დაპირისპირებამ ჩვენს საჭადრაკო სამყაროში შეიძლება ისეთი გაგრძელება მიიღოს და ისეთი შედეგით დასრულდეს, რასაც ვერც ერთი მხარე და საზოგადოებრიობაც ვერ განჭვრეტდა წინასწარ. სამწუხაროდ, ყველას ერთად მოვლენების განვითარების კვალდაკვალ მოგვიხდება, რაღაც-რაღაცეებზე დაფიქრება, რომელთაგან ზოგიერთი რამ შეიძლება ისე დაგვიანებული იყოს, გამოსწორებაც აღარ მოხერხდეს. ჯერჯერობით ყველაფერი პრესკონფერენციებით და მასმედიის აჟიოტაჟით შემოიფარგლება. მაგრამ ყველაფერს ხომ დასასრული აქვს. აი, ეს დასასრული უნდა გვაღელვებდეს ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე, უპირველესად თვით მოჭადრაკეებს.

დღემდე დაპირისპირებას სიცხადე არაფერში შეუტანია, პირიქით, ცეცხლზე ნავთის დასხმას ემსგავსება მოვლენების განვითარება. გაისმის კომპრომისზე წასვლის ხმები ფედერაციის ახლანდელი ხელმძღვანელობიდან, მაგრამ კონკრეტული არაფერი ჩანს, გაისმის ერთმანეთის მიმართ ბრალდებები და ცალ-ცალკე პასუხად: „ვერ გამიგია, რას მედავებიან!" გამოდის, რომ ამ ერთი პროფესიისა და ბრძნული თამაშის დიდოსტატებს ერთმანეთის არ (აღარ) ესმით, ერთმანეთს დამაჯერებლად ვერ აუხსნეს დაპირისპირების მიზეზი, რაც უფრო აღრმავებს „მოშულართ". იქნებ გაგების სურვილი არ აქვთ? ალბათ, ეს უფროა, რაც ქართულ საჭადრაკო ტრადიციებს ჩრდილფენილად წარმოაჩენს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს, უპირველესად, საჭადრაკო საზოგადოებრიობის თვალში. უკვე ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო პრესამ სენსაციად აიტაცა ის, რაც ჩვენს საჭადრაკო სამყაროში ხდება.

ამ დღეებში ჩვენმა რჩეულ მოჭადრაკე ქალთა ოთხეულმა (ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი) განცხადებით მიმართა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს. ქართულ პრესაში უკვე გამოქვეყნდა ეს განცხადება, და აქ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მთავარზე ვიტყვით მხოლოდ: „ბატონო კახი! თქვენ, როგორც სპორტის პირველ პირს, გაცნობებთ: უდიდესი გულისტკივილით ვიღებთ ჩვენთვის უკიდურეს გადაწყვეტილებას და ვტოვებთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგებს. ვაცხადებთ მზადყოფნას შევქმნათ საქართველოს ახალი ჭადრაკის ფედერაცია".. წერენ ჩვენი ქალბატონი სახელოვანი მოჭადრაკეები.

ახალი ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით „ლელომ" თავისი პოზიცია წინა ნომერში გამოხატა.

სპორტის დეპარტამენტი მომავალ ხუთშაბათს, კოლეგიის სხდომაზე განიხილავს ზემოხსენებულ განცხადებას.

# კორუფცია ქართულ სპორტში

## ვინ მოისყიდა და რა მიზნით ჩვენს სპორტში თანამდებობის პირები?...




ჯერ თვით ტერმინი განვმარტოთ. „კორუფცია" (Corrupxio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოსყიდვას. იქვეა დაზუსტებული, რომ ტერმინი აღნიშნავს თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას. ქართულ სპორტში კონკრეტულად ეს ტერმინი შეიძლება მიესადაგოს მხოლოდ თანამდებობის პირებს, რადგან ამ სფეროში არც პოლიტიკოსებთან გვაქვს საქმე და არც იმ საზოგადო მოღვაწეებთან, რომელთა მოსყიდვამ შეიძლება ქვეყანას ზიანი მიაყენოს. ე.ი. დაგვრჩა მხოლოდ თანამდებობის პირები...

ამ დღეებში ერთ-ერთ სატელევიზიო გამოკითხვაში ქართული სპორტის კატასტროფული ჩავარდნის მიზეზად სფეროში გამეფებული კორუფცია დასახელდა. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ქართული სპორტის მეურნეობაში და მის წინაშე მდგარ პრობლემებში, გამოკითხვის შედეგმა უზომოდ გააოცა და ირონიული ღიმილი მოჰგვარა. მაინც, რატომ გაჩნდა საზოგადოებაში ასეთი აზრი და რა უდევს მას საფუძვლად? ამთავითვე დაბეჯითებით ვიტყვით, რომ არანაირი საფუძველი, იოტისოდენაც კი, არა და არ არსებობს. ვფიქრობთ, ამდენი პრობლემებისგან გადაღლილი და პესიმისტურად განწყობილი საზოგადოება, კორუფციას მიაწერს ყველა წარუმატებლობას.

ასევე დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სპორტის სფეროში, ჩვენი დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობებში, კორუფციის თეორიის დონეზე წარმოდგენაც კი შეუძლებელია. დავფიქრდეთ, მაინც რაში უნდა იჩინოს თავი კორუფციამ, როცა სახელმწიფოსგან მიღებული თანხები მინიმალურია და ისიც თითოეულ თეთრამდეა აღნუსხული, როცა გახარჯული მეტია, ვიდრე მიღებულია, როცა „გაყინულია ძველი ვალები და წლეულს ახალიც დაემატება, როცა სპორტსმენებს პრემიები და სტიპენდიები, სპორტის მუშაკებს კი ხელფასები ვერ აუღიათ. იგივე მაია ჩიბურდანიძემ ვითომ იმის გამო ატეხა განგაში, რომ კუთვნილი ფული სპორტში გამეფებული კორუფციის გამო ვერ მიიღო? ეს ხომ აბსურდია. ასეთი რამ არც თავად მაიას უთქვამს, მაგრამ მან ყველა სპორტსმენის გულისტკივილი გამოხატა. სხვა საქმეა, როდის, რა დროს და რა ფორმით...

იქნებ სადღაც შენიღბულად მართლა ხდება რაიმე საგანგაშო. იქნებ კრედიტები შემოდის ქართული სპორტის წამოსაწევად, იქნებ სოლიდური ინვესტიციებია სადმე მალულად ჩადებული და სპორტის თანამდებობის პირებთანაც ფარული გარიგებაა. იმ 4 ათასამდე რესპონდენტიდან, რომელიც აფიქსირებს, რომ ქართულ სპორტს კორუფცია ღუპავს, თუნდაც ერთი თუ გამოჩნდება, რომელიც კონკრეტულ ფაქტს დაასახელებს, პირველი „ლელოს" რედაქცია ამოუდგება მხარში.

აი, ასეთია ვითარება, რომელიც, ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისგან და კიდევ უფრო გვაშორებს იმ მართალ გზას, რომელიც ქართული სპორტის გაჯანსაღებამდე მიგვიყვანს.

იქნებ ვიღაც-ვიღაცებს ხელსაც კი აძლევს გზის აცდენა და რეალური პრობლემებიდან ირეალურ პრობლემაზე ყურადღების გადატანა...

მიმომხილველი

# სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ

## ანუ იმის შესახებ, თუ რა დაფინანსებას იღებს ქართული სპორტი სახელმწიფოსაგან და რაში იხარჯება იგი

*გთავაზობთ საუბარს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსთან ვაჟა სიხარულიძესთან.*



● ***ბატონო ვაჟა, დავიწყოთ იმით, თუ რას ითხოვდით 1999 წლისათვის, რაზე იყო გათვლილი დაფინანსება და რამდენი მიიღეთ...***

— ქართულმა სპორტმა, რომ ტრადიციები შეინარჩუნოს, ყოველწლიურად უდიდესი თანხაა საჭირო, მაგრამ სახელმწიფოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჩვენ მინიმუმი მოვითხოვეთ. პროექტით გათვალისწინებული იყო 4 მილიონ 469 ათასი ლარი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. თებერვალში ბიუჯეტის დამტკიცებისას, ეს თანხა 3 მილიონ 123 ათასამდე შემცირდა.

● ***შემცირება თქვენი თანხმობით მოხდა?***

— არა, ჩვენ ვინ შეგვეკითხა, ვიდავეთ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

● ***რამდენადაც ვიცით, ეს თანხა მერე კიდევ შეიკვეცა...***

— ივლისიდან დაფინანსება დაიყვანეს 2 მილიონ 458 ათასამდე.

● ***წელიწადი იწურება. ერთია — გამოყოფილი თანხა, მეორე — მისი მიღება. ათვისების მაჩვენებელი როგორია?***

— 10 დეკემბრისთვის მიღებულია 2 მილიონ 021,5 ათასი ლარი. დანარჩენი ისევ მისაღები გვაქვს.

● ***გამოდის, რომ დაგეგმილი ღონისძიების კალენდარში თეთრი ლაქები დაგრჩათ...***

— რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ჩვენ ვმუშაობთ არა კალენდრის შესაბამისად, არამედ ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პრინციპებით. ჩვენც სხვა გზა არ დაგვრჩენია.

● ***მაინც რას ნიშნავს, „შემოთავაზებული პრინციპი"?***

— ფინანსთა სამინისტროში, როგორც უნდათ ისე ცვლიან ჩვენს მოთხოვნებს.

● ***თქვენ ხომ ძველი ვალებიც გაქვთ გასასტუმრებელი...***

— 1997-1998 წლებიდან 811 ათას 400 ლარი დავალიანება დაგვრჩა. ამას დაემატება ამ წლის მიუღებელი 335 ათასი, რაც წლის ბოლომდე 405 ათასამდე გაიზრდება. ეს თანხაც წინა ორი წლის ვალებს დაემატება, რაც მილიონს დიდად აჭარბებს. ამ თანხებში გარდა სპორტსმენებისა და ცალკეული ორგანიზაციებიდან აღებული ვალებისა, შედის ფედერაციების შენახვის ხარჯები.

● ***ფედერაციებს წლეულს სპორტული ღონისძიებებისთვის რამდენი გადაერიცხათ?***

— არც ერთი თეთრი. კონტროლის პალატის რჩევით, დეპარტამენტი თავად განკარგავს თანხებს.

● ***როგორია ფულადი სახსრების განკარგვის წესი?***

— თანხები გამოიყოფა სპორტღონისძიებათა კალენდრის შესაბამისად, დგება ხარჯთაღრიცხვა (ზოგჯერ შეკრებების გათვალისწინებით). ამის შემდეგ ხარჯთაღრიცხვას განიხილავს დეპარტამენტი, ხდება ვიზირება, საბოლოოდ კი იწერება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება. ყველა ეს დოკუმენტი მიგვაქვს ფინანსთა სამინისტროში,

იხ. მე-2 გვ.

**ლარის ოფიციალური კურსი:**
**1 აშშ დოლარი – -1.9800 ლარი.**

## გამოვლინდა სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში 1999 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი

*(გვარები მოტანილია ანბანის მიხედვით)*

***ივანე გამხიტაშვილი*** — სამბო, ქართული ჭიდაობა — ევროპის ჩემპიონი, მს. თასის მფლობელი
***ალექსანდრე დავითაშვილი*** — ქართული ჭიდაობა, საქართველოს ფალავანი
***ლევან ებანოიძე*** — სუმო, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი
***გიგა კორძაძე*** — კიკბოქსინგი — მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი
***მამუკა კურდღელაშვილი*** — სამბო, მსოფლიო ჩემპიონი და თასის მფლობელი, ევროპის III პრიზიორი
***გიორგი მინდიაშვილი*** — ათლეტიზმი, მსოფლიო II პრიზიორი
***ჯამბული ქამხაძე*** — სამბო, მსოფლიო ჩემპიონატის II და მსოფლიო თასის II პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი
***გიორგი ჩაკვეტაძე*** — ტაიბოქსი, კიკბოქსინგი — მსოფლიო ჩემპიონი, კიკბოქსინგში III პრიზიორი
***დავით ჭელიძე*** — მკლავჭიდი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი
***ვახტანგ ჯავახაძე*** — მკლავჭიდი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი.

## მილოცვა

მცხეთა — მთიანეთის სპორტის რეგიონული სამმართველო დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ვეტერან ნიჩბოსანს, საქართველოს განათლების სამინისტროს მცხეთის სანიჩბოსნო სპორტული სკოლის დირექტორს ***გურამ არქიელიძეს.***

## მე-5, მაგრამ ყველაზე ელეგანტური

ჩვენი უპირველესი მოციგურავე ვაჟი ვახტანგ მურვანიძე ჰაბუკობიდან მოყოლებული წარმატებით გამოდის სხვადასხვა შეჯიბრებაში, მომზადებით კი ძირითადად მოსკოვში ემზადება. ამჯერად იგი ისრაელის პატარა ქალაქ მუტალაში მეორედ მონაწილეობდა ამ ქვეყნის თასის ღია გათამაშებაში. თავად შეჯიბრება ტრადიციულია და ამჟამად მეხუთედ გაიმართა. 15 უძლიერესს შორის ვახტანგმა V ადგილი დაიკავა, მაგრამ ყველაზე ელეგანტურ მონაწილედ დაასახელეს.

## სამარანჩი აშშ-ის კონგრესის წინაშე წარსდგა

სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, მიუხედავად ხანგრძლივი უარისა, აშშ-ს კონგრესის წინაშე მაინც წარსდგა და ფორმალური დაკითხვისას იძულებული გახდა პასუხი გაეცა მეტწილად არასასიამოვნო და ზოგიერთ შემთხვევაში ცინიკურ შეკითხვებზე.

ცნობილია, რომ სოკის წევრებს კარგა ხანია ბრალდება მექრთამეობა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქების შერჩევაში ხმების მიცემისას. კონგრესმა სამარანჩს წარსულში ფრანკოს რეჟიმთან თანამშრომლობაც გაუხსენა. ერთმა კონგრესმენმა კი პოსტიდან მისი დაუყოვნებლივ გადადგომაც მოითხოვა. „ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ" — იყო სოკის პრეზიდენტის პასუხი. შემდეგ სამარანჩმა ფიცის ქვეშ განაცხადა, რომ რჩება სოკის პრეზიდენტად, რათა ბოლომდე იბრძოლოს თავჩენილი მანკიერების წინააღმდეგ.



# სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ

*(პირველი გვერდიდან)*

სამინისტროდან მივდივართ ხაზინაში, ხაზინიდან, უკვე ჩეკით ეროვნულ ბანკში. ყველა ეტაპზე კონტროლირდება თანხის გაცემის საფუძვლიანობა.

● ***ეროვნულ ბანკში არ გჭირდებათ პრობლემები?***

— ძალზე იშვიათად. ეგაა, ზოგჯერ ფულის გამოტანა არ ესწრება და უკვე შეჯიბრებაზე გამგზავრებულებისთვის უკან მიგვეიდევენებია თანხები. მას შემდეგ, რაც ფული გამოგვაქვს ბანკიდან, ვიძახებთ შესაბამისი ფედერაციის მატერიალურ პასუხისმგებელ პირს და ვაბარებთ თანხას. შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ კი ხარჯვის საბუთებს ისევ ჩვენ გვაბარებენ.

● ***აი, აქ თუ შეიძლება საბუთების გაყალბება, ფიქტიური დოკუმენტების წარმოდგენა?***

— ეს გამორიცხულია. საქმე გაიოლებულია იმით, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებიდან წინდაწინ შეტყობინებით ვიცით თუ რა ჯდება თითოეული სპორტსმენის კვება და სასტუმრო. თანხასაც ამის მიხედვით ვიძლევით.

● ***ე.წ. ჯიბის ფული რამდენია თითოეულზე?***

— სასაცილო, — 5 აშშ დოლარი. მეტის შესაძლებლობა არ გაგვაჩნია.

● ***ახლა მოდაშია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ორგანიზაციებში იქმნება სპეციალური კომისიები. თქვენთან თუ მუშაობს ასეთი ჯგუფი?***

— ჩვენთან დიდი ხანია მუშაობს ასეთი კომისია თავმჯდომარის თანაშემწის გივი ჯიშიაშვილის ხელმძღვანელობით. კომისია იღებს ყველა ბრძანების ასლს და გამუდმებით აკონტროლებს თანხების ხარჯვის სისწორეს. ისინი განგაშს ტეხენ, თუ შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ სამ დღეში არ ჩაბარდა ყველა დოკუმენტი ბუღალტერიას. აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში ხდება.

● ***დაბოლოს, თუ შეიძლება გაგვაცანით წლეულს თითოეულ ფედერაციას რა თანხა მოხმარდა სპორტული ღონისძიებებისთვის?***

— სურათი ასეთია: თავისუფალი ჭიდაობა — 174 ათასი ლარი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — 125,9, ძიუდო — 185,9, ჭადრაკი — 69,5 (ამას ემატება პროგრამული დაფინანსებით მიღებული 81 ათასი). თანამედროვე ხუთჭიდი — 32, კრივი — 44, ზამთრის სახეობები — 46, ტანვარჯიში — 63, სროლა — 76, მკლავჭიდი — 23, კალათბურთი — 92,7, ნიჩბოსნობა — 29, აღმოსავლური ორთაბრძოლები — 18, ფარიკაობა — 3, რაგბი — 43, ძალოსნობა — 39, ჩოგბურთი — 14, სამბო — 31, საწყლოსნო სახეობები — 29, მძლეოსნობა — 21, ხელბურთი — 79, ქართული ჭიდაობა — 4, მასობრივი სპორტი — 2, ფეხბურთი — 207, ველოსპორტი— 1, ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლა — 3,5, ალპინიზმი — 2,5, მაგიდის ჩოგბურთი — 0,9, ევროპის V თამაშები — 81 ათასი.

ესაუბრა **თ. თომაშვილი**

## „შანსი“ 10 წლისა გახდა...

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი, თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „შანსი“ უკვე 10 წლისაა. საოცრად შთამბეჭდავი იყო ამ გაზეთის პირველი ნაბიჯები სიტყვის თავისუფლებას მოწყურებულ და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ჩვენს ქვეყანაში. „შანსი“ იმთავითვე პუბლიცისტური კალმით ეხმიანებოდა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე წამოჭრილ მწვავე პრობლემებს თუ აქტუალურ საკითხებს და ეს გეზი ტრადიციად აქცია. უყურადღებოდ არც ქართული სპორტის პრობლემები დაუტოვებია. ასეა დღესაც, ასე იქნება მომავალში...

გულითადად ვულოცავთ კოლეგებს იუბილეს.

**ლელოელები**

**წყალში ხტომა** ერევნის საერთაშორისო ტურნირი

## ივარჯიშეს, იასპარეზეს და... ფულიც წამოიღეს

ერევანში ტრადიციულად ტარდება წარსულში ცნობილი წყალში მხტომელის დ. ამბარცუმიანის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიაც, როცა ფინანსური შესაძლებლობაა, ჩვენი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. წლევანდელი ტურნირი, მასპინძელთა გასაოცრად, ლამის ჩაიშალა, რადგან საქართველოს წარმომადგენელთა გარდა, სასპარეზოდ არავინ ჩავიდა ერევანში. ასე რომ, ამჟამად ეს ტურნირი ორი მეზობელი ქვეყნის „საშინაო“ საქმედ იქცა. ჩვენებს თურმე გულმა იმიტომაც გაუწია მეზობლებისკენ, რომ მასპინძლებს შესანიშნავი საწყლოსნო კომპლექსი ჰქონიათ გათბობით და არც უშუქობის კრიზისი აწუხებთ. ასეთ პირობებს დანატრებულმა ჩვენმა გუნდმა ერევანში სტუმრობა სავარჯიშოდაც გამოიყენა, მით უფრო, რომ წინ მოსკოვის ღია პირველობა იყო (იხ. „ლელო“ №97). ამ ტურნირში მონაწილეობა მატერიალურად სასარგებლოც გამოდგა, რადგან გამარჯვებულები და პრიზიორები ფულადი (დოლარებით) პრემიით ჯილდოვდებოდნენ. 50-მდე მონაწილე მაინც შეიკრიბა — დიდებიც და მოზარდებიც. ჩვენი სამი მონაწილიდან სამივე 12 წლამდე ნორჩი იყო, ყველაზე უმცროსი კოტე ნანიტაშვილი კი — ცხრისა. ვიტალი მამნიაშვილმა თანატოლთა შორის 1 მ-იან ტრამპლინიდან ასპარეზობაში II საპრიზო ადგილი დაიკავა, 3 მ-იანიდან კი III იყო. ამ პროგრამაში V ადგილი ხვდა დავით ყვავაძეს, 1 მ-იანიდან კი VII ადგილზე აღმოჩნდა. კოტე ნანიტაშვილი X და XI ადგილზე გავიდა შესაბამისად 1 და 3 მ-იან ტრამპლინებიდან ასპარეზობაში.

გუნდი ერევანში სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაციის პრეზიდენტის, საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ დირექტორის ვლადიმერ გოიაშვილის ფინანსური მხარდაჭერით გაემგზავრა.

**ც. ბაქრაძე**

## კობა გოგოლაძეს სალბუნი რინგზე დააბრუნებს



***ძვირად დაუჯდა ცნობილ ფოთელ მოკრივეს კობა გოგოლაძეს პროფესიონალთა საკონტინენტო ორთაბრძოლაში პასკალ მონტელიუსთან გამარჯვება. საქმე ის არის, რომ ამ შეხვედრაში ქართველმა სპორტსმენმა მარცხენა ხელის მტევანი დაიზიანა, რაც ძალზე ზღუდავდა მას მთელი შესაძლებლობა რომ რინგზე გამოევლინა. ტრავმა სერიოზული გამოდგა, რაც თბილისში დაბრუნების შემდეგ რენტგენმა მოტეხილობა დაადასტურა. მოკრივემ პოპულარულ ქართველ ტრავმატოლოგს ასკურავას მიმართა. დასტაქარმა თავისი საფირმო სალბუნი დაადო მტევანზე. მოტეხილობა საბედნიეროდ, არ არის რთული და სალბუნები მოკრივეს მალე დააბრუნებს სარბიელზე.***

ქველმოქმედება

### ბავშვების სიხარული — გერმანელებისგან

გერმანიის საელჩომ მარტყოფის ბავშვთა სახლს ისე საფუძვლიანად და თვალსმისაზიდად შეუკეთა სპორტული დარბაზი, რომ იგი დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა მთელი ჩვენი ქვეყნის საბავშვო დაწესებულებებში. შეფებმა, მოზარდებმა და საბავშვო სახლის აღმზრდელებმა ერთნაირი კმაყოფილება და სიხარული განიცადეს გაწეული ქველმოქმედებით.

**აწმყო, შობილი წარსულისაგან...**

# ალექსანდრე მეტრეველი

*1980 წლის შემოდგომა. ამ წელს და ამ დროს დასრულდა დიდი ქართველი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის სპორტული კარიერა. ტაშკენტში, სადაც ტარდებოდა საბჭოთა კავშირის რიგითი პირველობა, შეიკრიბა ქვეყნის ჩოგბურთის ელიტა და ჩინოვნიკები დაუფარავი გულახდილობით ამბობდნენ, რომ გამოჩნდნენ მოთამაშეები, რომლებიც მალე მოუღებენ ბოლოს ა. მეტრეველის ჰეგემონიას. მაგრამ ალიკას (როგორც ჩვენ ყველანი მას ვეძახდით) სრულიად საწინააღმდეგო აზრი გააჩნდა.*

*მიუხედავად იმისა, რომ მუხლის ტრავმა აწუხებდა, ამ შეჯიბრებისთვის ისე ემზადებოდა, როგორც არასდროს შედეგმაც არ დააყოვნა. მთელი ჩემპიონატი ისე ჩაატარა, როგორც თავის საუკეთესო წლებში სჩვეოდა — არ წაუგია რა არც ერთი სეტი, ფინალში გაანადგურა მოსკოველი კონსტანტინე პუგაევი (რომელიც წარმოშობით თბილისიდან იყო) სამ სეტში და მეთორმეტედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ერთეულთა თანრიგში. ამას ალიკამ დაამატა მე-11 ტიტული წყვილთა თანრიგში (როსტოველ ჩოგბურთელთან ევგენი ბაბაედოვთან ერთად).*

ასე ბრწყინვალედ დაამთავრა თავისი კარიერა ალექსანდრე მეტრეველმა 36 წლის ასაკში. ამ ჩოგბურთელის ფენომენზე ბევრი დაიწერა ჩვენს პრესაშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციებში არ იყო იმის ანალიზი, თუ რა ხდებოდა ქართულ ჩოგბურთში მეტრეველის მოსვლამდე.

ქართული ჩოგბურთი აიგო იმ მძლავრ ბალავარზე, რომელიც დადეს ისეთმა ქართველმა ჩოგბურთელებმა, როგორებიც იყვნენ ედუარდ ნეგრებეცკი, არჩილ მდივანი, ივანე ელერდაშვილი, ბორის კრუპენიკოვი, ვიქტორ ურაევსკი, გივი კოკაია და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის, აგრეთვე ქართველი ჩოგბურთელების პირველი გენერაციის მწვრთნელებს იან გომერს, არამ ხანგულიანს, გუგული დიდიძეს. ასე რომ, ალექსანდრე მეტრეველის ოსტატობა იხვეწებოდა იმ სერიოზულ საფუძველზე და იმ დიდ ტრადიციებზე, რომელიც უკვე გააჩნდა ქართულ ჩოგბურთს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. შორეულ, 1954 წ. „დინამოს“ ჩოგბურთის სტადიონზე, ჯგუფში ჩასაწერად მივიდნენ ძმები მეტრეველები — პეტრე (რომელიც 60-იან წლებში გახდა სპორტის ოსტატი და იყო არაერთგზის საქართველოს ჩემპიონი წყვილთა თანრიგში) და ალექსანდრე. ალიკა მაშინ 10 წლისა იყო და, დღევანდელი მოთხოვნების მიხედვით, ალბათ არც მიიღებდნენ სავარჯიშოდ. მაგრამ გამოცდილი მწვრთნელი და პედაგოგი არამ ხანგულიანი არასდროს სცდებოდა, მან ამ გამხდარ და არაჩვეულებრივად მოძრავ ბიჭუნაში დიდი ნიჭი დაინახა.

ალიკა იზრდებოდა მშვენიერ ოჯახში. მამამისი ირაკლი და დედა ანა იყვნენ მკაცრი და მომთხოვნი მშობლები, მაგრამ არასოდეს ერეოდნენ თავიანთი ბავშვების სასწავლო-სავარჯიშო პროცესში. ჩოგბურთის კორტებზეც ძალიან იშვიათად თუ მივიდოდნენ, ისიც მხოლოდ დიდ შეჯიბრებებზე. მათ იცოდნენ, რომ „დინა-



ალექსანდრე მეტრეველი და წარსულში ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი მარგარეტ სმიტ-კორტი

მოს“ კორტებზე ბავშვები იყვნენ მეგობრებისა და მომთხოვნი მწვრთნელის გარემოცვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მეტრეველის, როგორც სპორტსმენის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის „დინამოს“ ნიჭიერ ჩოგბურთელებს გურამ კაპანაძეს, თენგიზ კერესელიძეს, ლეონარდ მძინარიშვილს, ნუგზარ მძინარიშვილს, პეტრე მეტრეველს, კოტე ტიმოშჩუკს, გრანტ მუსაელიანს, გივი ჩახუნაშვილს, გივი ლუკაშვილს, გივი ახალაძეს (ყველა ჩამოთვლილი ჩოგბურთელი რამდენიმე წლით ალიკაზე უფროსები იყვნენ) და ბევრ სხვებსაც, რომლებიც ხან სიამოვნებით, ხან კი მწვრთნელის არამ ხანგულიანის დავალებით სპარინგ-პარტნიორობდნენ ალიკას. ვიყავი რა ალიკას ხშირი პარტნიორი, მე პირველად მისი ძალა ვიგრძენი 1960 წ. შემოდგომაზე. საერთოდ, არამ ხანგულიანი გარკვეული წვრთნის შემდეგ გვინიშნავდა საკონტროლო შეჯიბრებებს და აი მწვრთნელმა 5-სეტიანი თამაში დამინიშნა ალიკასთან. მანამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს პირველობაზე მე ძალიან ადვილად მოვუგე, ახლა კი, სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, მეტოქეში სულ სხვა ჩოგბურთელი ვიხილე. მე შევძელი, დაძაბულ თამაშში 4 სეტში დამემარცხებინა, მაგრამ, ყველამ, ვინც ესწრებოდა ამ შეხვედრას, ერთხმად აღნიშნა არაჩვეულებრივი სწრაფი პროგრესი ალიკას თამაშში.

შეუპოვარი ვარჯიშები, არაჩვეულებრივი მიზანსწრაფვა ხელს უწყობდა მის ფანტასტიკურ ზრდას. მაგრამ, ნამდვილად არავინ ელოდა იმას, რაც მოხდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე 1961 წელს კალინინგრადში. მაშინ, ჩვენ, დინამოელი ჩოგბურთელები, ალიკა მეტრეველი და ამ სტრიქონების ავტორი, დიდ იმედებს ვამყარებდით ნუგზარ მძინარიშვილზე, რომელმაც სულ ორიოდე თვის წინ, ინგლისში, ბალახის კორტებზე დაამარცხა ჩეხეთის პირველი ჩოგანი ირჟი იავორსკი. ახლა ჩემპიონატის სენსაციად იქცა ალიკას გამარჯვება საბჭოთა კავშირის პირველ ჩოგანთან მიხეილ მოზერთან, პირველ წრეში. ალიკას ბევრი თამაში მინახავს, მაგრამ ეს დამამახსოვრდა ყველაზე მეტად.



ვოვა გოგლიძე (მარცხნივ) და ალექსანდრე მეტრეველი

მატჩი მოზერთან 6 საათს გაგრძელდა, იმ შესვენებების გათვალისწინებით, რომელიც წვიმამ გამოიწვია. და როდესაც დადგა კულმინაციის მომენტი, გაირკვა, რომ არც ალიკას და არც ჩვენ აღარ გაგვაჩნდა არავითარი რესურსები — ყველა ჩოგანი დაწყვეტილი იყო (ჩვენი თაობის ჩოგბურთელებმა იციან, რომ ჩვენ ვთამაშობდით ნატურალური, მაგრამ ძალზე უხარისხო ლარებით). ეს დრამატული თამაში მან დაამთავრა ჩოგნით, რომელიც იწონიდა 14 უნციას (დაახლოებით 400 გრამი). ეს ჩოგანი ალიკას ათხოვა ცნობილმა მოსკოველმა ჩოგბურთელმა და ჟურნალისტმა ბორის ბოროვსკიმ. ნებისმიერმა ჩოგბურთელმა იცის თუ რას ნიშნავს სხვისი ჩოგნით თამაში, მაგრამ ალიკამ აქაც გამოავლინა ადაპტაციის საოცრება. 10 საათისთვის მან მოიგო მე-5 სეტი და შეხვედრა.

შეიძლება ითქვას, რომ კალინინგრადის ძველ კორტებზე მაყურებელთა აპლოდისმენტების და გარეული მხეცების გნიასის თანხლებით (შორიახლო იყო განთქმული კენიგსბერგის გაგენბეკის ზოოპარკი) აკაშკაშდა ქართული ჩოგბურთის ახალი ვარსკვლავი. მაშინ ალექსანდრე მეტრეველს ჯერ 17 წელიც კი არ შესრულებოდა.

შემდეგ, წლების მანძილზე, იყო შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლა პირველობისათვის შესანიშნავ ესტონელ ჩოგბურთელთან ტომას ლეუსთან. ეს იყო გამარჯვების და დამარცხების ძნელი გზა. და აი, 1966 წ. ალიკა ხდება საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (ზამთრის და ზაფხულის) და ქვეყნის პირველი ჩოგანი. იწყება მისი არაჩვეულებრივი ტალანტის აყვავება.

ალექსანდრე მეტრეველმა ორი ათეული წლის განმავლობაში მოიპოვა გამარჯვებები ჩოგბურთის ისეთ კორიფეებთან, როგორებიც იყვნენ ლიუ ჰოადი პანჩო (რიკარდო), გონსალესი, ჯონ ნიეკომბი, მარტი მალიგანი, ვილჰელმ ბენგერტი, ჯიმი კონორსი, მანოლო სანტანა, მანოლო ორანტესი, იან კოდეში, ნიკოლა პიეტრანჟელი, ტომ ოკერი და სხვა კორიფეები. ჩოგბურთის ჩვენმა დიდოსტატმა მოიგო 8 პროფესიონალური ტურნირი ერთეულთა თანრიგში და 2 წყვილთა თანრიგში.

დევისის თასის გათამაშებაში (მსოფლიო გუნდური პირველობა) მან ჩაატარა 105 მატჩი (აქედან 56 გამარჯვება ერთეულთა თანრიგში, 24 — წყვილთა თანრიგში).

ალექსანდრე მეტრეველმა 6-ჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული და 29-ჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (12-ჯერ ერთეულთა თანრიგში, 11-ჯერ წყვილებში, 6-ჯერ შერეულ წყვილთა თანრიგში).

დიდი გულისტკივილით მინდა აღვნიშნო ალიკას დამარცხება უიმბლდონის ტურნირის ფინალში 1973 წელს ჩეხ ჩოგბურთელ იან კოდეშთან. იანთან ალიკა ყოველთვის წარმატებით თამაშობდა, მაგრამ ამჯერად არ გამოუვიდა.

თავს ნებას მივცემ იქ მომხდარი გავაანალიზო. ჩვენი თაობა გაიზარდა კომუნისტური იდეოლოგიის ეპოქაში. ყველაფერი უარყოფითი, რაც ახლდა ამ იდეოლოგიას, გადატანილი იყო სპორტულ მოძრაობაშიც. ალიკა, ცხადია, მისდაუნებურად, ძალიან იშვიათად მონაწილეობდა მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირებში. არსებობდა განსაზღვრული წესი, რომ საბჭოთა სპორტსმენს არ შეეძლო ყოფნა საზღვარგარეთ განსაზღვრულ დროზე მეტ ხანს. ყველაფერი ეს გავლენას ახდენდა მასზე და აყენებდა არათანაბარ პირობებში უცხოელ მეტოქეებთან შედარებით. მისი დამარცხება აიხსნება მარტო იმით, რომ არ ეყო მაღალი რანგის კატეგორიის ტურნირების გამოცდილება. სხვათა შორის, კოდეშს ყოველთვის ჰქონდა გაცილებით მეტი შესაძლებლობები ეთამაშა დიდი საერთაშორისო ტურნირები, ვიდრე ჩვენს ჩოგბურთელს. დასასრულს მინდა წმინდა პროფესიული თვალთახედვით შევაფასო ალექსანდრე მეტრეველის თამაში.

ჩოგბურთელთა 80-90-იანი წლების ახალგაზრდა თაობას, სამწუხაროდ, არ უნახავს ამ უდიდესი ქართველი ჩოგბურთელის თამაში. მაგრამ მან უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენდა კორტზე ალექსანდრე მეტრეველი.

არ ვეთანხმები ჩოგბურთის ენციკლოპედიის ავტორს ბად კოლინს, რომელიც ახასიათებს მეტრეველს, როგორც მოთამაშეს (SERVE-AHD VOLLEYER) ტაქტიკით: ჩაწოდება-ბადესთან გასვლა (თამაში ჰაერიდან).

ალექსანდრე მეტრეველი იყო ქართული საჩოგბურთო სკოლის ტიპიური მიმდევარი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ქადაგებდნენ კომბინაციურ ჩოგბურთს მთელ მოედანზე, აქცენტით — ბადესთან გასვლაზე. ასე თამაშობდა, მაგალითად, მისი გამოჩენილი წინამორბედი ედუარდ ნეგრებეცკი. თამაშის ეს სტილი, ალიკამ სრულყოფამდე დაიყვანა. ამიტომ იყო შესანიშნავი, როგორც უკანა ხაზზე, ისე ბადესთან. მთელ თამაშს აგებდა აქტიურ მოქმედებებზე, და თუ იძულებიული იყო გადასულიყო დაცვაში, აქაც უამრავი ხერხი გააჩნდა ბადესთან გამოსულ მეტოქესთან სათამაშოდ. ჩაწოდება ჰქონდა მიზანმიმართული, რის შემდეგ იგებდა ქულას, თუ არა, გადადიოდა აქტიურ მოქმედებებზე. ალექსანდრე მეტრეველის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება ყოველთვის გამორჩეული იყო მაღალი დონით. მან სრულყო ხის ჩოგნის ფლობა და ოსტატობით შეიძლება დავაყენოთ მსოფლიოს ჩოგბურთის ყველაზე გამორჩეულ და უდიდეს ხელოვანთა მწკრივში.

გავიდა თითქმის 20 წელიწადი, რაც ალექსანდრე მეტრეველმა ბოლო დარტყმა შეასრულა დიდ სპორტში. ამის შემდეგ ბევრი რამ მოხდა მის პირად ცხოვრებაში, მაგრამ ეს სხვა პუბლიკაციის თემაა. მე შევეცადე მკითხველებისთვის მისი დიდებული სპორტული გზა გამეცნო მხოლოდ.

**ვლადიმერ გოგლიძე,**
**სპორტის ოსტატი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# VIII ევროპული შესარჩევი ჯგუფი ციფრებში

**მსოფლიო ჩემპიონატის VIII ევროპულ შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები, როგორც ცნობილია, რუმინეთის, იტალიის, ლიტვისა და უნგრეთის გუნდები არიან. როგორ გამოიყურებოდნენ ისინი ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირეზში?**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**მსოფლიო პირველობა ფეხბურთში**

## რუმინეთი

რუმინეთის ნაკრებმა გაიმარჯვა მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში, 10 თამაშში 24 ქულა მოაგროვა, 7 მატჩი მოიგო, 3 ფრედ დაასრულა, არ წაუგია, ბურთების სხვაობაა 25 – 3!

პირველი მატჩი შინ გამართა ლიხტენშტაინის სუსტ ნაკრებთან და დაამარცხა იგი ანგარიშით 7-0. გოლები გაიტანეს გეორგე პოპესკუმ (18), კ. მუნტიანუმ (30), ა. ილიემ (32, 45, 51), მოლდოვანმა (56), ჰაასმა (60 – საკუთარ კარში).

მეორე მატჩი სტუმრად პორტუგალიელებთან, გასაგებია, გაცილებით უფრო მძიმე იყო. რუმინელებმა კვლავ გაიმარჯვეს დ. მუნტიანუს მიერ 90-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით.

ბუდაპეშტში, უნგრელების წინააღმდეგ რუმინელებმა ფრედ – 1-1 ითამაშეს. მოლდოვინმა გახსნა ანგარიში 51-ე წუთზე, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ჰრუტკამ საპასუხო გოლი გაიტანა. მეოთხე მატჩი სლოვაკებთან საკუთარ მინდორზე საკმაოდ მოულოდნელად ფრედ – 0-0 დაამთავრეს.

ამის შემდეგ რუმინელები ბაქოში შეხვდნენ აზერბაიჯანის ნაკრებს და მოიგეს(1-0), პეტრეიმ 49-ე წუთზე გაიტანა ეს გოლი. საპასუხო მატჩი უნგრელებთან ბუქარესტში გაიმართა: 2-0 რუმინელების სასარგებლოდ (გოლები გაიტანეს მე-2 წუთზე ა. ილიემ და მე-15 წუთზე – დ. მუნტიანუმ.

ტურნირის ბოლო 4 შეხვედრა რუმინელებმა კვლავ აღმავლობით ჩაატარეს. ჯერ ბუქარესტში იოლად – 4-0 მოუგეს აზერბაიჯანელებს. გოლები გაიტანეს განიამ (35), დ. მუნტიანუმ (44- პენალტით), ვლადოიუმ (50), როშუმ (90). ამას მოჰყვა სლოვაკების განადგურება გასვლით მატჩში – 5-1 (ლაბანტი-22, სლოვაკთაგან). რუმინელების მხრიდან გოლები გაიტანეს ა. ილიემ – 6, ჰაჯიმ – 30, ჩიბოტარიუმ – 66, მოლდოვანმა – 88, 90 წუთებზე. პორტუგალიელებთან შეხვედრა ბუქარესტში ფრედ 1-1 დამთავრდა. ანგარიში 37-ე წუთზე ა. ილიემ გახსნა, 45-ე წუთზე კი ფიგუმ საპასუხო გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, რუმინელების გამოსვლა შესარჩევ ჯგუფში ჩინებული აღმოჩნდა. 6 გოლი ა.ილიეზე მოდის, 4 გაიტანა მოლდოვანმა.

## იტალია

იტალიის ნაკრებმა 15 ქულით პირველი ადგილი დაიკავა პირველ შესარჩევ ჯგუფში. 8 შეხვედრიდან მოიგო 4, სამი ფრედ დაასრულა და 1 წააგო, ბურთების სხვაობაა 13-5.

იტალიელებმა მოიგეს პირველი სამი მატჩი: კარდიფში უელსელებთან 2-0. გოლები გაიტანეს ფუზერმა (17) და ვიერიმ (77), შინ შვეიცარიელებთან – 2-0. ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა დელ პიერომ. მანვე 61-ე წუთზე გაიტანა მეორე ბურთი. ამის შემდეგ „სკუადრა აძურამ“ კოპენჰაგენში ძნელ ბრძოლაში სძლია დანიელებს – 2-1. ფ. ინძაგიმ უკვე პირველ წუთზე გახსნა ანგარიში, სანდმა 56-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა, მაგრამ კონტემ 68-ე წუთზე გამარჯვება მოუტანა თავისიანებს.

ამის შემდეგ იტალიელებს საკუთარ მინდორზე გაუჭირდათ ბელორუსებთან. 24-ე წუთზე ბელკევიჩმა გახსნა ანგარიში 31-ე წუთზე. ფ. ინძაგიმ აღადგინა წონასწორობა – 1-1. მასპინძლებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს.

ამას მოჰყვა დამაჯერებელი საშინაო გამარჯვება – 4-0 უელსელებთან, (ვიერი – 6, ფ. ინძაგი – 37, მალდინი – 40 და კიეზა-89), ფრე შვეიცარიელებთან – 0-0 გასვლით მატჩში. ბოლო ორი შეხვედრა იტალიელებმა წარუმატებლად წარმართეს: ჯერ შინ დამარცხდნენ დანიელებთან – 2-3, როცა ფუზერმა მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში, ამას 34-ე წუთზე ვიერის მეორე გოლი მოჰყვა, მაგრამ შემდეგ ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ: 39-ე წუთზე იორგენსონმა პენალტი გაიტანა, 57-ე წუთზე ვიგჰორსტმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 63-ე წუთზე დალ-ტომპსონმა გამარჯვება მოუტანა თავისიანებს. ამას მინსკში ბელორუსებთან ფრე – 0-0 მოჰყვა და იტალიელებმა ჯგუფში მაინც დაიკავეს პირველი ადგილი. მათ შორის 3-3 გატანილი გოლით ყველაზე შედეგიანები იყვნენ ვიერი და ფ. ინძაგი.



## ლიტვა

ლიტველები მეცხრე შესარჩევ ჯგუფში თამაშობდნენ და 10 თამაშში 11 ქულით (3 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება, ბურთები 8-16) ბოლოსწინა, მეხუთე ადგილი დაიკავეს.

აი მათი მატჩების შედეგები: შინ შოტლანდიელებთან – 0-0, ფარერებთან – 0-0, ბოსნიელებთან – 4-2. ლიტველთაგან გოლები გაიტანეს ივანაუსკასმა – მე-10, 67-ე და 75-ე წუთებზე, ერთი კი 90-ე წუთზე ბალტუშნიკარმა. ბოსნიელთაგან: კონიჩმა (4) და ბალიჩმა (68).

ამას ლიტველების პირველი წაგება – 0-2 მოჰყვა პრაღაში ჩეხებთან. გოლები გაიტანეს ჰორნიაკმა (10) და ბერგერმა (74). სრულიად მოულოდნელად, ლიტველებმა შემდეგი მატჩიც წააგეს ვილნიუსში ესტონელებთან – 1-2. ტერეხოვმა 49-ე და 77-ე წუთებში სტრაუჩეს კარში ორი გოლი გაიტანა, რომელსაც ლიტველმა ფომენკამ 83-ე წუთზე ერთით უპასუხა. ლიტველების უსიამოვნება შემდეგშიც გაგრძელდა. მათ სტუმრად ბოსნიელებთანაც წააგეს – 0-2. კოდრომ 26-ე წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში, ხოლო ბოლიჩმა თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მეორე გოლი გაიტანა.

მომდევნო მატჩებში ლიტველებმა ტალინში რევანში აიღეს – 2-1 ესტონელებთან. ესტონელმა ოპერმა გახსნა ანგარიში (10), რასაც ბაზელიოსის (52) და მაცულიავიჩუსის (56) საპასუხო გოლები მოჰყვა. ჩეხებთან ვილნიუსში წააგეს – 0-4 (ნედველდი – 60, 63, კოლერი 68,90), ფარერებს სტუმრად მოუგეს – 1-0 (რამიალისი – 55), შოტლანდიელებთან სტუმრად დიდი ანგარიშით 0-3 წააგეს (ჰატჩინსონი – 48, მაკრუიგანი – 50, კემერონი-89).

ლიტველების გამოსვლა ამ ტურნირში სერიოზულ მარცხად ჩაითვალა. 3 გოლით მათ შორის საუკეთესო სნაიპერი ივანაუსკასი იყო.

## უნგრეთი

უნგრელები მეშვიდე ჯგუფში თამაშობდნენ. 6 მონაწილეს შორის 12 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავეს, 3 მატჩი მოიგეს, 3 ფრედ დაასრულეს და 4 წააგეს, ბურთების სხვაობა 14-10. ვერაფერი შედეგებია!

უნგრელებმა ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ პირველივე მატჩი წააგეს პორტუგალიელებთან – 1-3. ხორვატმა 32-ე წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ ამის შემდეგ სტუმრებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ: სა პინტუმ 56-ე და 76-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა, რუი კოშტამ კი 84-ე წუთზე – მესამე.

ამის შემდეგ უნგრელებმა ანგარიშით 4-0 გაიმარჯვეს ბაქოში აზერბაიჯანელებთან. უპირატესობა მეორე ტაიმში თვალსაჩინო იყო. დარდაიმ პირველი ბურთი 59-ე წუთზე გაიტანა, ილეშმა 85-ე წუთზე პენალტით მეორე, პიშონტმა – 88-ე წუთზე – მესამე, მ. ფეხერმა – 90-ე წუთზე – მეოთხე. ამას ბუდაპეშტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუმინელებთან ფრე – 1-1 მოჰყვა. დიდ წარმატებად არ ჩაითვალა იმავე სტადიონზე ლიხტენშტაინთან მოგება – 5-0 (ი. შებეკი – 17, ვ. შებეკი – 33, 42, 86, ილეში – 74). მომდევნო შეხვედრა ბრატისლავაში სლოვაკებთან ფრედ – 0-0 დასრულდა, რასაც რუმინელებთან ბუქარესტში წაგება 0-2 მოჰყვა, შემდეგ კი ბუდაპეშტში სლოვაკებთან დამარცხებაც – 0-1. გოლი ფაბუშმა გაიტანა 53-ე წუთზე. გასაოცარი იყო ლიხტენშტაინთან სტუმრად ფრე – 0-0, ამას კი ჯერ აზერბაიჯანელებთან შინ მოგება მოჰყვა – 3-0 (ვ. შებეკი – 28, ეგრეში – 51, შოვუნმი – 55), ბოლოს კი სტუმრად პორტუგალიელებთან მძიმე წაგება – 0-3 (რუი კოშტა – მე-15 წუთზე პენალტით, ჟოაო პინტუ – 16, აბელ შავიერი – 58).

უნგრელებს შორის 4 გოლით საუკეთესო სნაიპერი ვ. შებოკი გახდა.

**ბიძი ბამრეკელი**

## დღვაწლი და დაფასება

# ძალა შესწევს...



ჯემალ გაბისონია

ჯემალ გაბისონიას ტრივიალურ „სპორტის უჩინარ მუშაკს“ ვერ უწოდებ, ვინაიდან ჩრდილში არასოდეს მდგარა და მისი საქმიანობა, რომელსაც ერთადერთი საზომი – ერთგულება მიესადაგება, ყოველთვის გამოარჩევდა ბევრისაგან: და კიდევ, არასოდეს უვლია იოლი გზით, რაც თავიდანვე მისი ხვედრი იყო, როცა „ნორჩი დინამოელის“ თანატოლთა გუნდში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო მცველის ამპლუა დაეკისრა. ქალაქის ამ უძველესი საფეხბურთო ტრადიციების გუნდში თავის გამოჩენა სულაც არ იყო ადვილი. მან კი მალე მიიპყრო ყურადღება და რამდენიმე წელიწადი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშიც ერთ-ერთ უძლიერეს მცველად მიიჩნევდნენ. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა და, რა თქმა უნდა, თამაშიც იქ გააგრძელა. მწვრთნელმა კოტე მესხმა „შეკრა“ სტუდენტებისაგან კარგი გუნდი, რომელშიც ჯ. გაბისონია დაცვის ბურჯი იყო და 1963 წელს გუნდმა კრასნოიარსკში სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ჩემპიონობა მოიპოვა. სამწუხაროდ, მისი მოთამაშის კარიერას დიდი დღე არ ეწერა, რადგან მძიმე ტრავმამ საბოლოოდ ჩამოაცილა იგი მწვანე მინდორს. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა იგი ქვეყნის პირველ გუნდში – თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. მაგრამ უფეხბურთოდ ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა და არც მიუტოვებია საყვარელი საქმე. მშობლიურ „ნორჩ დინამოელში“ თავის აღმზრდელებთან ყმაწვილთა აღზრდას მოჰკიდა ხელი. ეს კი სულაც არ იყო ადვილი, ვინაიდან იმ ხანად თბილისში მოზარდ ფეხბურთელებთან მუშაობდა არაერთი მაღალკვალიფიციური მწვრთნელი და ასეთ „გრანდებთან“ ჭიდილში დაამტკიცა ჯემალ გაბისონიამ, რომ სხვებზე ნაკლებად არც ახალგაზრდობას შეეძლო ახალგაზრდების დაკვალიანება. ალბათ, ბევრს ახსოვს 1969 წლის „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშების ფინალური მატჩი, რომელიც საქართველოს ნაკრების გამარჯვებით აღინიშნა. თასის მფლობელები თითქმის მთლიანად ჯ. გაბისონიას აღსაზრდელები იყვნენ. ასეთივე წარმატებას მისმა აღსაზრდელებმა ორი წლის შემდეგაც მიაღწიეს. ამიტომაც მას, ახალგაზრდა სპეციალისტს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭა.

ყველა ის წარმატება, რომელსაც ჯ. გაბისონიამ თავის აღსაზრდელებთან ერთად მიაღწია, თავდაუზოგავი გარჯისა და შრომის ნაყოფია და არავითარ ამბიციას იგი არ მოუცავს. თუმცა, ასეთი პროდუქტიული მწვრთნელი შეიძლებოდა ერთ-ერთი ჭაბუკთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად რომ დაენიშნათ. მაგრამ ფარ-ხმალი არასოდეს დაუყრია, ყოველ წელიწადს უფრო და უფრო თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდნენ მისი მოწაფეები, რომელთა შორის სამი ათეული სპორტის ოსტატია. მათ შორის: დავით მუჯირი, გოჩა ტყებუჩავა, თენგიზ მოსეშვილი, თენგიზ პერტენავა, მერაბ გიგინეიშვილი, ალექსანდრ დუდა, ალექსანდრ დოროხოვი, ამირან კვირკველია, ედუარდ მაზნიჩუკი, გია ჯოჯუა, მალხაზ კანთელაძე, იური მელაძე... ბევრი მისი ნამოწაფარი დღეს მწვრთნელად მუშაობს – ნოდარ აკობია, ნოდარ ლეჟავა...

დინამოელი ჯ. გაბისონია წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ფიზმომზადებას ხელმძღვანელობდა, რასაც ჩვეული ერთგულებითა და გატაცებით ეკიდებოდა, რადგან პოლიციელს, ფათერაკიან ცხოვრებაში სწორედ ჯანი და სიმარდე გამოადგება დიდად. ამ წლებში დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ამ დღეებში პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.



*1970 წლის თბილისის ჩემპიონი „ნორჩი დინამოელის“ გუნდი; მარცხნივ – სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგოლ გაგუა, მარჯვნივ – ჯემალ გაბისონია.*



## ფეხბურთში ჭაბუკთა შორის საქართველოს 1999-2000 წლების ჩემპიონატი გივი ჩოხელის პრიზზე, 1982-1983 წლებში დაბადებულთათვის

## I ეტაპი ● ცენტრალური ზონა ● „ა“ ჯგუფი

| № | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ხაშური | | 1-1 | 0-W | 0-4 | 2-2 | 1-5 | 0-3 | 4-2 | 8-20 | 5 | 8 |
| 2. | დინამო-1 | 1-1 | | 12-0 | 2-0 | 3-0 | 4-0 | 5-1 | 1-0 | 28-2 | 19 | 1 |
| 3. | მერანი | W-0 | 0-12 | | 0-8 | 0-9 | 0-10 | 4-0 | 0-3 | 7-42 | 6 | 7 |
| 4. | 35 სკ.-2 | 4-0 | 0-2 | 8-0 | | 6-2 | 1-2 | 5-0 | 2-0 | 26-6 | 15 | 2 |
| 5. | მთ. გლობუსი-2 | 2-2 | 0-3 | 9-0 | 2-6 | | 1-2 | 3-1 | 2-1 | 19-14 | 10 | 4 |
| 6. | მართვე | 5-1 | 0-4 | 10-0 | 2-1 | 2-1 | | 2-2 | 0-3 | 21-12 | 13 | 3 |
| 7. | ავაზა-2 | 3-0 | 1-5 | 0-4 | 0-5 | 1-3 | 2-2 | | 2-1 | 8-20 | 7 | 5 |
| 8. | ელმავალი | 2-4 | 0-1 | 3-0 | 0-2 | 1-2 | 3-0 | 1-2 | | 10-11 | 6 | 6 |

## გურამ ფანჯიკიძის მემორიალი

# „სიხარულის“ მეორე სიხარული

ქვეყანა შეძრა 1997 წლის შემოდგომაზე ქობულეთში მომხდარმა შემთხვევამ, როცა ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოპულარული ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ ფანჯიკიძე. თანამედროვეობის ამ უდიდესმა პიროვნებამ თვალსაჩინო ღვაწლი დასდო ქართულ ფეხბურთს, რომელსაც რამდენიმე წიგნი მიუძღვნა. შარშან ნაძალადევის რაიონში სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პატარა სტადიონზე ჩატარდა გურამ ფანჯიკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოზარდთა და ბავშვთა სპორტული სკოლების ტურნირი, სადაც „ავაზას“ ნორჩ ფეხბურთელთა სკოლის კლუბმა „სიხარულმა“ გაიმარჯვა.

წლევანდელ, რიგით მეორე მემორიალში თბილისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლების 18 კლუბი მონაწილეობდა. ამ მასობრივი ტურნირის 2 ჯგუფში 10-დღიანი შეჯიბრების დასკვნით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ავაზას“ ფილიალის „სიხარული“ პირველი (მწვრთნელი შუქრი ჭუმბურიძე) და 35-ე საფეხბურთო სკოლის „აისი“ (მწვრთნელი მერაბ წიკლაური). ორმა, 30-30 წუთებიანმა ტაიმებმა ვერ გამოავლინა უძლიერესი – (2-2). პენალტების სერიით – 4-3 „სიხარულმა“ იმარჯვა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა საპატიო ვერცხლის თასი. მესამე ადგილზე გავიდა „სიხარული“-2, რომლებმაც – 1-0 მოუგეს გალის „კოლხას“.

მეკარისათვის განკუთვნილი ჯილდო გადაეცა გიორგი მახნიაშვილს („აისი“), მცველისა – გიორგი კუტალაძეს („გეორგია“87), ნახევარმცველისა – ლევან სერგიას („სიხარული“-2), თავდამსხმელისა – მამუკა პაპუაშვილს („სიხარული“ პირველი), ყველაზე ტექნიკური და საზრიანი მოთამაშისა – შოთა ჩუთლაშვილს („გეორგია“87), ბომბარდირისა – გიორგი მერაბიშვილს („აისი“), რომელმაც 18 გოლი გაიტანა. ულამაზესი გოლის პრიზი მიეკუთვნა გიორგი ჯანელიძეს (ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლა), ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის პრიზი გადაეცა გალის „კოლხას“ მოთამაშეს ლევან ხუცურაულს. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდა გურამ ფანჯიკიძის მეუღლე დალი და ძმა თემური.

სულ მალე ამავე სტადიონზე დაიწყება თბილისის „დინამოს“ განსვენებული ცენტრალური მცველის, სპორტის ოსტატ ვახტანგ ჭელიძის ტრადიციული მემორიალი.

**შალვა ქირია**

# კახი ცხადაძე – ფატალურად უიღბლო ფეხბურთელი



კახი ცხადაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების ექსკაპიტნის ბედის ბორბალი კვლავ უკუღმა დატრიალდა. მას შემდეგ, რაც შარშან ზაფხულში კახი ცხადაძე „მანჩესტერ სიტი" – „ფულემის" მატჩში მძიმედ დაშავდა, მხოლოდ წლეულს, ნოემბრის ბოლოს დაუბრუნდა აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას – სამი მატჩი ითამაშა „მანჩესტერ სიტის" მეორე გუნდში, იგივე დუბლებში. მესამე შეხვედრა კახიმ გუშინწინ, 15 დეკემბერს ჩაატარა „სტოკ სიტის" წინააღმდეგ და პირველ ტაიმში ისე დაშავდა, რომ სკაცით გასაყვანი შეიქნა. ცხადაძემ იგივე ტრავმა მიიღო, რამაც მისი 16-თვიანი „შესვენება" გამოიწვია შარშანდელი აგვისტოდან – მარცხენა ფეხის მყესების დაწყვეტა. ჩვენი ეროვნული გუნდის დაცვის ხაზის ყოფილი ბურჯის კარიერა ტრავმიანობით ნაღდად არ გამოირჩეოდა. ფატალურად უიღბლო ფეხბურთელის ახლანდელი ასაკი ოპტიმიზმის საფუძველს ვერ გვაძლევს – 31 წლის კახი ცხადაძე უფრო ალბათ ბუცების კედელზე ჩამოკიდებაზე იფიქრებს.

ვერც სხვა ქართველ ლეგიონერებზე გეტყვით გასახარს – მათ ეროვნული ჩემპიონატების ბოლო მატჩებში თავი დიდად არ გამოუჩენიათ. ეს არის, რომ კახი კალაძეს სამომავლო ტრანსფერზე ბევრი მითქმა-მოთქმაა. ჩვენებურის შეძენა ბოლოლა ევროპულ კლუბებს სურთ და მასში გვარიან თანხასაც სთავაზობენ კიევის „დინამოს". „ბარსელონა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „მილანი"– არის კიდევ რამდენიმე მსურველი, რომლებიც მზად არიან უკრაინულ „დინამოსთან" მოსარიგებლად და საწყის თანხად ათ მილიონ დოლარს ასახელებენ. კიეველთა უფროსობა კი ჩვენებურს ორ ათეულ მილიონზე ნაკლებად არ დათმობს – გავრცელდა ასეთი ცნობაც. თუმც ჯერჯერობით, კალაძის ტრანსფერი არც ერთ ზემოხსენებულ გუნდთან მომწიფებული არ არის, მაგრამ კახი რომ დიდხანს აღარ გაჩერდება უკრაინაში, წყალი არ გაუვა. სამაგიეროდ, გიორგი დემეტრაძე მალე უნდა შეუერთდეს კიეველ დინამოელებს, მაგრამ ფორმალური საკითხების მოგვარება ვერა და ვერ მოხერხდა, ოსური „ალანია" და უკრაინული „დინამო" დემეტრაძის სატრანსფერო თანხაზე ჯერაც არ მორიგებულან.

# გაისად, მარტში...

UEFA CUP

უეფას თასი

***ჟენევაში გაიმართა უეფას თასის 1/8 ფინალის კენჭისყრა. იხილეთ წყვილები:***

1. პარმა (იტალია) — ვერდერი (გერმანია)
2. იუვენტუსი (იტალია) — სელტა (ვიგო)
3. რომა (იტალია) — ლიდსი (ინგლისი)
4. მალიორკა (ესპანეთი) — მონაკო (საფრანგეთი)
5. სლავია (ჩეხეთი) — უდინეზე (იტალია)
6. ბორუსია (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი)
7. ატლეტიკო (ესპანეთი) — ლანსი (საფრანგეთი)
8. არსენალი (ინგლისი) — დეპორტივო (ესპანეთი)

*მატჩები 2 და 9 მარტს გაიმართება.*



აქვე გაირკვა მეოთხედფინალების შესაძლო წყვილებიც:

(4) წყვილის გამარჯვებული — (6) წყვილის გამარჯვებული
(2) წყვილის გამარჯვებული — (7) წყვილის გამარჯვებული
(3) წყვილის გამარჯვებული — (5) წყვილის გამარჯვებული
(8) წყვილის გამარჯვებული — (1) წყვილის გამარჯვებული

*1/4 ფინალური მატჩები 16 და 23 მარტს გაიმართება.*

## ეროვნული ჩემპიონატები

**გერმანია • XVI ტური**

**ბაიერნი – არმინია 2-1**
*გოლები:* ლაბადია, 5 (0-1), პეტერსი, 28 საკუთარში (1-1), სალიჰამიჯიჩი, 59-პენ. (2-1).

**შტუტგარტი – ჰანზა 3-1**
*გოლები:* განეა, 54 (1-0), განეა, 62 (2-0), არვიდსონი, 70 (2-1), პინტუ, 74 (3-1).

**ჰერტა – მიუნხენ-1860 1-1**
*გოლები:* მაქსი, 52 (0-1), კონსტანტინიდისი, 71 (1-1).

**დუისბურგი – ვერდერი 0-1**
*გოლი:* დაბროვსკი (14)

**ვოლფსბურგი – ულმი 1-2**
*გოლები:* ვან დერ ჰაარი, 37 (0-1), ვან დერ ჰაარი, 48 (0-2), ბილიშკოვი, 62 (1-2).



**კაიზერსლაუტერნი – ფრაიბურგი 0-2**
*გოლები:* რამდანი, 57, კორელი, 86.

**უნტერჰახინგი – ჰამბურგი 1-1**
*გოლები:* მაჰდავიკია, 24 (0-1), ზაიტცი, 68 (1-1).

**შალკე – ბორუსია 0-0**

**აინტრახტი – ბაიერი 1-2**
*გოლები:* ფიორტოფტი, 20 (1-0). ბაინლიხი, 47 (1-1). ბაინლიხი, 87 (1-2).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 31-13 | 33 |
| ბაიერი | 16 | 8 | 7 | 1 | 27-17 | 31 |
| ჰამბურგი | 16 | 7 | 7 | 2 | 33-18 | 28 |
| ვერდერი | 16 | 7 | 5 | 4 | 34-22 | 26 |
| მიუნხენ-1860 | 16 | 7 | 5 | 4 | 26-20 | 26 |
| ბორუსია | 16 | 6 | 7 | 3 | 20-13 | 25 |
| შტუტგარტი | 16 | 7 | 3 | 6 | 19-18 | 24 |
| კაიზერსლაუტ. | 16 | 7 | 2 | 7 | 20-28 | 23 |
| ჰერტა | 16 | 5 | 7 | 4 | 22-24 | 22 |
| შალკე | 16 | 4 | 9 | 3 | 21-19 | 21 |
| უნტერჰახინგი | 16 | 5 | 5 | 6 | 17-18 | 20 |
| ვოლფსბურგი | 16 | 5 | 5 | 6 | 21-29 | 20 |
| ფრაიბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-22 | 19 |
| ჰანზა | 16 | 4 | 5 | 7 | 22-35 | 17 |
| ულმი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-25 | 16 |
| დუისბურგი | 16 | 2 | 7 | 7 | 17-24 | 13 |
| აინტრახტი | 16 | 3 | 2 | 11 | 17-24 | 11 |
| არმინია | 16 | 2 | 5 | 9 | 12-29 | 11 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლიპიმ მეორედ დააბრკოლა ბაჯო

„ტიფოზების" კერპი რობერტო ბაჯო დღეს იშვიათად ჩანს მინდორზე, რითაც აღშფოთებულია და არც მალავს მწვრთნელ მარჩელო ლიპიზე წყენას.

– როდესაც ლიპი „ინტერში" მოვიდა, მითხრა რომ მე გუნდის ძირითადი შემადგენლობისთვის ვჭირდებოდი და ამასთან, გუნდისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად შემაფასა. რომ მცოდნოდა, რომ იგი დაპირებას არ შეასრულებდა, მყისვე დავტოვებდი კლუბს. მით უმეტეს, რომ უამრავი ძლიერი გუნდი მეპატიჟებოდა.

ისე, მარჩელო ლიპი რომ ბაჯოს მაინცდამაინც არ სწყალობს, არახალია. ალბათ გახსოვთ, რომ სწორედ მან გაუშვა „იუვენტუსიდან" იტალიელი ვარსკვლავი და თანაც იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი გაცილებით ძლიერ ფორმაში იყო. ლიპი ასე ხსნის თავის გადაწყვეტილებას.

– ფეხბურთელი, რაც არ უნდა დიდი სახელი ჰქონდეს, პირველ რიგში გუნდს უნდა შეეწყოს.

იტალიაში სატრანსფერო სეზონი 4 იანვარს იხსნება და ალბათ, ბაჯოც ახალ კლუბს მიაშურებს. როგორც ამბობენ, ფეხბურთელს გულით სურს გადასვლა მშობლიურ „ვიჩენცაში", რომელიც სერია – B-ს ლიდერობს.



## კიკოს მძიმე ტრავმა მოიშუშა



წელიწადზე მეტია, რაც მადრიდის „ატლეტიკოს" და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი კიკო ნარვაესი მინდორზე არ გამოსულა. როგორც იქნა ფეხბურთელმა ტრავმა მოიშუშა და ესპანეთის ჩემპიონატის უახლოეს მატჩშიც დაეხმარება თავის გუნდს.

– არა მგონია, ჩვეულ ფორმაში შევხვდე მატჩს. რაც არ უნდა იყოს, 13 თვეა ფეხბურთი არ მითამაშია. ვიმედოვნებ, რომ დაკარგულს მალე აღვიდგენ – განაცხადა კიკომ.

## ვესტი მილანშივე რჩება

მილანის „ინტერის" ნიგერიელი მცველი 25 წლის ტარიბო ვესტი უახლოეს დღეებში იმავე ქალაქის მეორე გრანდს „მილანს" შეუერთდება. მარჩელო ლიპიმ ამ სეზონში ვესტი სათადარიგო მოთამაშედ აქცია და ერთხელაც არ გამოუყვანია მინდორზე, არადა, კარგა ხანი იგი შეუცვლელი იყო „ინტერის" დაცვით ხაზში.

— კლუბთან და ფეხბურთელთან ყველაფერზე შევთანხმდით, ასე რომ, იგი მალე „მილანში" ჩაირიცხება. ვესტი ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან მოსწონს ალბერტო ძაკერონის — განაცხადა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

სხვათა შორის, თურქული „გალათასარაი" და ბერძნული „აეკი" უფრო მჭიდროდ ეწეოდნენ „ინტერთან" მოლაპარაკებას, მაგრამ თავად ვესტი უარობდა აპენინებიდან წასვლას.

## ბესკოვი მოსკოვის „დინამოს" შესახებ

უხუცესმა მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა, რომელმაც ადრე მოსკოვის „დინამოს" ჩემპიონობა მოუპოვა, განაცხადა, რომ გუნდის ახლანდელი მარცხის მიზეზი მემკვიდრეობითობის დაკარგვაა.

— საერთოდ, „დინამოს" მარცხის ახსნა იოლი არ არის. მას შემდეგ, რაც მწვრთნელი აღარა ვარ, ველარ ვადევნებ თვალ-ყურს სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას. არ ვიცი, რა მეთოდებს იყენებენ გუნდის ჩამოსაყალიბებლად. ამის მიუხედავად, მოსკოვის „დინამოს" შედეგები მრავლის მეტყველია. მარცხის ერთ-ერთი მიზეზია, ხმამაღალ განცხადებად თუ არ ჩამითვლით, მემკვიდრეობითობის დაკარგვა. შედარებისათვის მინდა მოსკოვის „სპარტაკის" მაგალითი მოვიშველიო. ოლეგ რომანცევმა 10 წლის წინათ შემცვალა, არ მოინდომა ველოსიპედის ხელახლა გამოგონება, არ დაარღვია ის, რაც ადრე შევქმენი. უფრო მეტიც, მან ამას ზოგი რამ თვითონაც დაუმატა. მას შემდეგ, რაც „დინამო" დავტოვე, იქ ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა. არ მინდა შევაფასო მათი მუშაობა, მით უმეტეს, რომ, როგორც ადრეც მოგახსენეთ, გუნდისთვის უშუალოდ თვალყური არ მიდევნებია. ის კი ცხადია, რომ მწვრთნელები საკუთარი გზით წავიდნენ, ამან კი შედეგების დაქვეითება გამოიწვია. ეს მაშინ, როცა მათ არავინ უშლიდა საჭირო ფეხბურთელების მიწვევას. მწვრთნელის ხელოვნება კი სწორედ ის არის, რომ სხვადასხვა კლუბიდან გადმოსული მოთამაშეებიდან ანსამბლი შექმნას.

## ზაურ ხაპოვი: დასაევთან, გაბელიასთან, ჩერჩესოვთან ერთად ვთამაშობდი

**9 წელიწადი ითამაშა ზაურ ხაპოვმა ვლადიკავკაზის „ალანიაში", და, ამის შემდეგ მისმა გადასვლამ მოსკოვის „ლოკომოტივში" ცოტა არ იყოს, გაკვირვება გამოიწვია.**

● ***კონკურენციისა არ გეშინიათ?***

– მისი არასოდეს მშინებია. თავის დროზე ვთამაშობდი ისეთ მეკარეებთან ერთად, როგორებიც იყვნენ დასაევი, გაბელია, ჩერჩესოვი. შესაძლოა, „ლოკომოტივში" ჩემს გადასვლასთან ერთად რუსლან ნიგმატულინმა კიდევ უფრო უკეთესად დაიწყოს თამაში. ეს მხოლოდ გამიხარდება. ფეხბურთის მიტოვებას არ ვაპირებ, კიდევ რამდენიმე წელი მინდა ვითამაშო.

● ***რა ელის ახლა „ალანიას?" ვალერი გაზაევისა და წამყვანი მოთამაშეების წასვლის შემდეგ მას საშუალო ძალის გუნდამდე ჩამოქვეითება ელის.***

– აქ სახიფათო ის არის, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ იჩენდა გუნდისადმი. თუ ასეთი დამოკიდებულება არ შეიცვლება, კლუბს ძალიან გაუჭირდება. მაინც მწამს გუცაევისა და ბითაროვის საორგანიზაციო უნარის. ვფიქრობ, რომ ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდება და გუნდის დაკომპლექტებაც კარგად ჩაივლის.

● ***რას იტყვით თქვენს ახლანდელ კლუბზე?***

– „ლოკომოტივი" ევროპული კლასის გუნდია. იგი „სპარტაკთან" ერთად რუსეთის ფეხბურთის ლიდერია. ამიტომაც ასეთ კლუბში გადასვლის წინადადებაზე თანხმობა განვაცხადე.

● ***„ალანიაში" პირველი მეკარე იყავით, ახლა შეიძლება მეორე გახდეთ...***

– ეს ნორმალური მოვლენაა. კარგ გუნდს საიმედო მეკარეები უნდა ჰყავდეს, რათა მწვრთნელები და მოთამაშეები მშვიდად იყვნენ. ვინც უფრო ძლიერია, ის ითამაშებს.



ზაურ ხაპოვი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ბავშვებს ეხმარებიან

საინტერესო „შოუ" გაიმართა მოსკოვის ოლიმპიურ სპორტკომპლექსში. იქ საფეხბურთო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ იურანი, ციმბალარი, შალიმოვი, მათთან ერთად ახალგაზრდები, რომლებმაც ...გულის ოპერაცია გადაიტანეს და ესტრადის „ვარსკვლავთა" ნაკრები. ანგარიშით 3-1 გაიმარჯვა იურანის გუნდმა. ამ მატჩის შემოსავლით 100-მა ბავშვმა გულის ოპერაცია უნდა გაიკეთოს. მსგავსი აქცია რამდენიმე წლის წინათ ლონდონში ჩატარდა, სადაც ახალგაზრდები, რომლებმაც გულის ოპერაცია გადაიტანეს და მთლიანად განიკურნენ, ლონდონის „არსენალის" სათადარიგო შემადგენლობას შეხვდნენ.

### 8 თვით უმანქანოდ დარჩა

„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი დევიდ ბეკჰემი 8 თვით უმანქანოდ დარჩა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მანჩესტერის სასამართლომ.

ამ ზაფხულს დევიდ ბეკჰემს, მანქანა გადაჭარბებული სიჩქარით მიჰყავდა და პოლიციამ გააჩერა. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ბეკჰემის სახელსა და ავტორიტეტს — მას მანქანის ტარების უფლება ჩამოართვა. ახლა ფეხბურთელმა ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით უნდა ისარგებლოს ან საჭე ცოლს, ცნობილ საესტრადო მომღერალ ვიქტორია ადამსს დაუთმოს. ისე კი, მეუღლეებს მანქანების მთელი პარკი ჰყავთ.

### ვინც ცოლს სცემს

ცნობილ ინგლისელ თავდამსხმელ დინ ჰილდსუორტს საშინაო პატიმრობა მიესაჯა... ცოლის ცემისათვის.

მალე საუთპორტის სასამართლოში გაიმართება ამ საქმის მოსმენა. თუკი „ბოლტონის" თავდამსხმელს ბრალდება. დაუმტკიცდა, მას 18 თვით პატიმრობა ელის.

### რავანელი „ლაციოში" გადავიდა

თავდამსხმელმა ფაბრიციო რავანელიმ რომის „ლაციოსთან" წელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი უკვე რამდენიმე წელია ინგლისსა და საფრანგეთში თამაშობდა.

— „ოლიმპიკის" (მარსელი) ხელმძღვანელები დამპირდნენ, რომ ხელს არ შემიშლიდნენ რომელიმე წამყვან იტალიურ კლუბში გადასვლაში და სიტყვის პატრონები აღმოჩნდნენ. ამიტომაც გადავედი რომის „ლაციოში".

საფრანგეთის ასეთი დაუყოვნებლივი დატოვება რავანელიმ იმითაც ახსნა, რომ მას სურს იტალიის ნაკრებში ადგილის დაბრუნება და ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობა.

### სმერტინი - წლის ჯენტლმენი

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი „წლის ჯენტლმენად" აღიარეს.

გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ" უკვე მეშვიდედ ჩაატარა ასეთი კონკურსი. ეს წოდება ენიჭება მოთამაშეს, რომელიც უაღრესად კორექტულად იქცევა მინდორზე, თუნდაც უმნიშვნელო შეჯახების შემდეგ შეიძლება მეტოქეს ბოდიში მოუხადოს.

მოსკოვის რესტორან „პეკინში" გამართულ ცერემონიალზე ალექსეი სმერტინს ყვავილები და საჩუქრები მიართვეს.

# ჯანი რივერა: წარსულის მოგონება

**ჯანი რივერა, იტალიური ფეხბურთის „ოქროს ბიჭი", 70-იანი წლების ბოლოს მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ, ერთხანს „მილანის" ტექნიკური დირექტორი იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ იგი სამუდამოდ გამოეთხოვა ფეხბურთს. ჯერ ბიზნეს-სკოლა დაამთავრა, 1987 წელს კი იტალიის პარლამენტის წევრი გახდა ქრისტიან-დემოკრატთა პარტიიდან. გავიდა კიდევ 9 წელიწადი. 1996 წლის მაისში რივერა უკვე სახელმწიფო მდივნის მოადგილედ დაინიშნა თავდაცვის საკითხებში (რაც თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობის ტოლფასია). სწორედ ამ თანამდებობით ჩავიდა იგი, ამას წინათ ბულგარეთში, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მრავალეროვნული ძალების შტაბი გაიხსნა. პლოვდივში მან ინტერვიუ მისცა ცნობილ ბულგარელ საფეხბურთო მიმომხილველს რუმენ პაიტაშევს. გთავაზობთ რამდენიმე საყურადღებო ნაწყვეტს ამ საუბრიდან.**



ჯანი რივერა

● ***სინიორ რივერა, გულშემატკივრების მეხსიერებაში თქვენ დარჩით, როგორც „იტალიური ფეხბურთის ოქროს ბიჭი". მაგრამ, თქვენ, ალბათ, ერთადერთი ხართ დიდი ფეხბურთელებიდან, რომელმაც სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ სერიოზულად მიუძღვნა თავი პოლიტიკას. რამ მიგიზიდათ პოლიტიკაში?***

— სასიამოვნო მოგონებები ყოველთვის გულს გიხარებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ისინი ვერ გაგაძღობენ. ადამიანი ზოგჯერ ვერცკი წარმოიდგენს, რა ელის მას მომავალში, მაგრამ ფეხბურთელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ამიტომ იმ დროისთვისაც უნდა იზრუნოს, როცა მისი კარიერა დამთავრდება. მეც ვემზადებოდი, მაგრამ მართალი რომ გითხრათ, პოლიტიკაში შემთხვევით მოვხვდი. მეგობრებმა ქრისტიან-დემოკრატთა პარტიულ სიაში შემიყვანეს და, ამრიგად, დეპუტატი გავხდი.

● ***სად უფრო მეტი სირთულეა — ფეხბურთსა თუ პოლიტიკაში?***

— ეს ადამიანის მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია, რომელთა შედარება შეუძლებელია...

● ***რომელი „მილანი" უფრო მოგწონთ — 60-იანი წლებისა, რივერათი, შნელინგერით, ჰამრინით, თუ ბოლო ათწლეულის „მილანი" — გულიტით, ვან ბასტენითა და რაიკაარდით?***

— ძნელია სხვადასხვა დროის გუნდების შედარება. ჩვენ სხვა ფეხბურთს ვთამაშობდით, რომელიც შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა. მთავარი კი ის არის, რომ ჩემს დროსაც და შემდეგაც „მილანი" იტალიის ჩემპიონიც გახდა, ევროპისა და მსოფლიოს უძლიერესი კლუბიც.

● ***თქვენს დროს იტალიის ჩემპიონატში „მილანი" და „ინტერი" მკაცრ კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. მათ სათავეში ედგნენ შესანიშნავი მწვრთნელები ნერეო როკო და ელენიო ერერა. როკო 20 წლის წინ გარდაიცვალა, ერერამ კი „ინტერის" მწვრთნელმა 60-იან წლებში, ამ ორი წლის წინ, გარდაცვალებამდე (1997.XI) ინტერვიუ მომცა, სადაც საკუთარ თავს მსოფლიოში ყველაზე დიდი მწვრთნელი უწოდა. ასეა?***

— (რივერა მხიარულად იცინის). მე დიდ პატივს ვცემდი ერერას, მაგრამ ზოგ რამეში მაინც არ ვეთანხმები. ჩემთვის სწორედ როკოა ყველაზე კარგი მწვრთნელი. ამასთან, იმიტომ კი არა, რომ „მილანში" მე მავარჯიშებდა.

● ***მაინც, რატომ?***

— იმიტომ, რომ მას შეეძლო ადამიანური ურთიერთობები დაემყარებინა, როგორც მთლიანად გუნდთან, ისე თითოეულ მოთამაშესთანაც. იგი ჩვენთვის უფრო მეგობარი იყო, ვიდრე მწვრთნელი. მასთან მუშაობა მეტად სასიამოვნო იყო.

● ***მილანური დერბი მთელ მსოფლიოშია განთქმული, მაგრამ იტალიაში ბევრი ამტკიცებს, რომ რომაული დერბი „რომა" — „ლაციო" მილანურს არ ჩამოუვარდება.***

— ჩემთვის ძნელია მსაჯულის როლში გამოსვლა. ისე კი, თქვენ სწორად აღნიშნეთ, მილანური დერბი მსოფლიოში უფრო ცნობილია, რომაული კი იტალიაში არანაკლებ პოპულარულია. მილანი და რომი, ასეთ ვთქვათ, ფხიზლად იცავენ თავიანთ საფეხბურთო ღირსებებს.

● ***როგორია თქვენი დამოკიდებულება დისკუსიისადმი, რომელთა მიმდინარეობის დროსაც მწვავედ განიხილავენ უცხოელი ფეხბურთელების წარმომადგენლობას იტალიურ ფეხბურთში?***

— უცხოელი ფეხბურთელების პრობლემები იტალიაში ყოველთვის მეტად აქტუალური იყო, ამასთან, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად განიხილებოდა. 1966 წლამდე ყველა იწონებდა იტალიის ჩემპიონატში სამხრეთამერიკელი მოთამაშეების მონაწილეობას. მათ „მილანსა" და „ინტერს" მსოფლიო აღიარება მოუპოვეს, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში იტალიის ნაკრები, ადგილობრივი ფეხბურთელებისგან შედგენილი, ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა. მაშინ უცხოელების წინაშე ჯებირი აღმართეს და 1980 წლამდე მათი რიცხვი კლუბებში (უფრო ზუსტად, თამაშში მონაწილეთა რაოდენობა) მკაცრად განისაზღვრა. ერთი სიტყვით, ყურადღება ადგილობრივი მოთამაშეების მომზადებაზე გადაიტანეს, და ამან თავისი ნაყოფი გამოიღო.

ნაკრები კვლავ გაძლიერდა. მისი წარმატებების კულმინაცია იყო მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატი ესპანეთში, სადაც „სკუადრა აძურა" ფეხბურთის ისტორიაში მესამედ გახდა ოქროს მედლების მფლობელი. შემდეგ მდგომარეობა კვლავ შეიცვალა. უამრავი უცხოელი ვარსკვლავის მოწვევა კვლავ დაეტყო იტალიის ნაკრებს. მე პატივს ვცემდი და ახლაც ვცემ მარადონას, პლატინის, ზიკოს, გულიტის, ვან ბასტენის, ბატისტუტას და რონალდოს დონის ვარსკვლავებს, მათგან ბევრ რამეს სწავლობენ, მაგრამ მათი სიჭარბე იტალიურ კლუბებში ახალგაზრდა ადგილობრივ ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობების ჩვენების, თვითგამოხატვის საშუალებას არ აძლევს.

● ***თქვენ, როგორც პარლამენტის დეპუტატმა, მოუწოდეთ კიდეც იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, შემოეღო გარკვეული ლიმიტი.***

— დიახ, ასე იყო. მართალია, მე არა ვარ იტალიაში უცხოელების მოწვევის კატეგორიული მოწინააღმდეგე, მაგრამ ვთვლი, რომ მათი რიცხვი უნდა შემცირდეს.

● ***თქვენ გახსოვთ იტალიის ნაკრების წარმოუდგენელი ფიასკო მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატში ინგლისში, როცა მან ჩრდილოეთ კორეის გუნდთან წააგო ანგარიშით 0-1.***

— რას იზამ, ასეთი რამ დროგამოშვებით ნებისმიერ ნაკრებს შეემთხვევა ხოლმე. მაგრამ ეს ფაქტი თავისებური კომენტარია იმ დისკუსიებთან დაკავშირებით, რომელიც იტალიურ კლუბებში უცხოელების სიჭარბეს ეხება. სწორედ ამ წაგების შემდეგ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ შემოიღო ემბარგო უცხოელებზე, რადგან ნაკრებს, კლუბებისაგან განსხვავებით, საკუთარი სახე არა ჰქონდა.

● ***ოთხი წლის შემდეგ იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში (მექსიკაში) შეხვდა ბრაზილიელებს და დამარცხდა ანგარიშით 1-4. მაშინ თქვენ განაცხადეთ, რომ ეს მატჩი წააგეს მაცოლამ და სხვებმა, თქვენ არ წაგიგიათ...***

— არ მახსოვს, მაშინ რა ვთქვი. ის კი მახსოვს, რომ ძალიან ნაწყენი და მწუხარე ვიყავი. მე ხომ, ფაქტობრივად, ამ მატჩში არ მითამაშია.

● ***თქვენ თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე გახვედით მინდორზე. რატომ?***

— ამაზე თქვენ იმ ნაკრების მწვრთნელ ვალკარეჯის უნდა ჰკითხოთ. მე კი დღესაც არ შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

● ***ბრაზილიელები ფინალურ მატჩში აშკარად უფრო ძლიერები იყვნენ.***

— ეს იყო ფანტასტიკური ნაკრები — პელე, ტოსტაო, ჟაირზინიო, რიველინო, ჟერსონი. მათი შეჩერება ძალიან ძნელი იყო. ამას დაემატა დაღლილობა გერმანელებთან ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც ჩვენ დამატებით დროში მოვიგეთ, ანგარიშით 4-3.

● ***„მილანში" თქვენ ჯოვანი ტრაპატონისთან ერთადაც თამაშობდით. რას ფიქრობთ მასზე, როგორც მწვრთნელზე?***

— იგი ძალიან კარგი მცველი იყო, შემდეგ კი ჩინებული მწვრთნელი გახდა. ტრაპატონის სპეციალისტის უზარმაზარი გამოცდილება აქვს, მან იცის წარმატებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზის მონახვა.

● ***თქვენ ჩინებული ნახევარმცველი იყავით, უაღრესად დახვეწილი ტექნიკა გქონდათ. რას ფიქრობთ, როგორ შეიცვალა ამ დროის განმავლობაში თამაში. როგორი უნდა იყოს მსოფლიო კლასის პლეიმეიკერი?***

— უპირველეს ყოვლისა, მას უნდა ჰქონდეს ნიჭი ხედავდეს ყველაფერს, რაც კი მინდორზე ხდება. უფრო მეტიც, წინასწარ უნდა განჭვრიტოს ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდება, ისევე, როგორც ჩემი თამაშის პერიოდში. ახლა ბევრი მოთამაშე ძალიან დიდხანს აჩერებს ბურთს. დირიჟორი, თამაშის ორგანიზატორი, ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, პლეიმეიკერი ვალდებულია მინდორზე აწეული თავით მოძრაობდეს, რათა ნებისმიერ მომენტში გადასცეს ბურთი ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პარტნიორს.

● ***რას ფიქრობთ სილვიო ბერლუსკონიზე, გამოჩენილ პოლიტიკოსსა და ფინანსურ მაგნატზე, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ აკრიტიკებდნენ, რადგან, როგორც „მილანის" პრეზიდენტი, არაფერს იშურებდა მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავების შესაძენად. ეს ხომ, კრიტიკოსების აზრით, ძალიან უარყოფითად იმოქმედებდა იტალიის ფეხბურთის განვითარებაზე.***

— მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი ამ პრობლემის შესახებ. რაც შეეხება ბერლუსკონის მოღვაწეობას „მილანის" პრეზიდენტის პოსტზე... მან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ „მილანი" იტალიის ჩემპიონი გამხდარიყო. ვფიქრობ, ამ კლუბს შეუძლია ევროპაში უძლიერესიც იყოს, ისევე, როგორც ეს 60-იან წლებში მოხდა.

● ***ხომ არ გსურდათ გემუშავათ „მილანში"?***

— ჩემი საფეხბურთო დრო კარგა ხანია გავიდა. ახლა, უბრალოდ, შეუძლებელია წარსულში დაბრუნება.

***მოკლე ცნობა***

***ჯანი რივერა დაიბადა 1943 წლის 18 აგვისტოს. თავდამსხმელი და ნახევარმცველი. 1958-60 წლებში თამაშობდა „ალესანდრიაში", 1960-79 წლებში — „მილანში". იტალიის ჩემპიონი 1962, 1968, 1979 წლებში, თასის მფლობელი 1967, 1972, 1973, 1977 წლებში. იტალიის ჩემპიონატის 527 მატჩში გაიტანა 128 გოლი. ჩემპიონთა თასის მფლობელი 1963 და 1969 წლებში, თასების თასის მფლობელი 1968 და 1973 წლებში. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1969 წელს. იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი 1962 წელს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი („ოქროს ბურთი") 1969 წელს, იტალიის ნაკრებში 1962-74 წლებში ჩაატარა 60 მატჩი (14 ბურთი). მონაწილეობდა მსოფლიოს 1962, 1966, 1970 და 1974 წლების ჩემპიონატებში. ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოთამაშე მსოფლიო ფეხბურთში. იყო „მილანის" ტექნიკური დირექტორი.***

# ბრაზილიური თავგადასავლები

***თავისებური სისტემით ტარდება ბრაზილიის ჩემპიონატი. ჯერ იმართება შეჯიბრება ერთ წრედ 22 გუნდის მონაწილეობით. ამის შემდეგ რვა უძლიერესი უკვე ოლიმპიური სისტემით აგრძელებს ბრძოლას.***

რა შედეგები მოიტანა პირველმა ეტაპმა, ანუ წრიულმა ტურნირმა?

კვლავ დიდი მარცხი იწვნიეს რიო-დე-ჟანეიროს კლუბებმა, თუმცა ეს ბრაზილიაში უკვე აღარავის უკვირს. „ვასკო და გამამ" მეოთხედფინალში სენსაციური დამარცხება იწვნია სალვადორის „ვიტორიასთან", სახელგანთქმული „ფლამენგო" რვა უძლიერეს კლუბშიც კი ვერ მოხვდა, ხოლო „ბოტაფოგომ" ძლივს შეინარჩუნა ადგილი პირველ დივიზიონში. იმასაც ამბობენ, რომ არა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია, „ბოტაფოგო" სრულ კატასტროფასაც კი განიცდიდა. მას შემდეგ, რაც რიო-დე-ჟანეიროს კლუბი გამანადგურებელი ანგარიშით 1-6 დამარცხდა „სან-პაულუსთან", კონფედერაციამ ეს შედეგი გააუქმა და სან-პაულუს კლუბს წაგება ჩაუთვალა. რატომ? მის რიგებში თამაშობდა სანდრო ხიროში, რომლის გვარი განაცხადში არ იყო შეტანილი.

კინაღამ დატოვა უმაღლესი ლიგა პორტუ-ალეგრის ცნობილმა „ინტერნასიონალმა". თავი რომ გადაერჩინა, მას აუცილებლად უნდა მოეგო ბოლო ტურის მატჩი საკონტინენტთაშორისო თასის მონაწილე „პალმეირასთან". ეს თამაში „პალმეირასისთვისაც" მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან წაგებისა და თუნდაც ფრეს შემთხვევაში იგი 8 უძლიერესს შორის ვერ ხვდებოდა. ერთადერთი გოლი თამაშის დამთავრებამდე, 6 წუთით ადრე „კოპა ლიბერტადორესის" მფლობელ „პალმეირასის" კარში გაიტანა საჯარიმო დარტყმით 36 წლის დუნგამ. ამის შემდეგ სტადიონზე პირდაპირ წარმოუდგენელი ამბები მოხდა, როცა „პალმეირასმა" საპასუხო იერიში დაიწყო, „ინტერის მწვრთნელმა, წარსულში ბრაზილიის ნაკრების ცნობილმა მეკარემ ემერსონ ლეაომ მინდორზე სათადარიგო ბურთები შეისროლა. მსაჯმა იგი სტადიონიდან კი გააძევა, მაგრამ ახლა ბურთების შესროლა უკვე ბიჭუნებმა დაიწყეს, თბილისში „აუტჩიკებს" რომ უძახიან. სანამ ამ ბიჭებსაც გააძევებდნენ, გამოირთო შუქი. როცა სინათლის მიწოდება აღდგა, გამოირკვა, რომ „აუტჩიკები" გაქრნენ და ყველა ბურთი... თან წაიღეს. ბოლოს ერთადერთი ბურთი სადღაც მონახა სტუმრების მცველმა კლებერმა, მაგრამ როგორც კი იგი თამაშში შეიყვანა, გაისმა მსაჯის ფინალური სასტვენი. ასეთი საოცარი კომედიის მიუხედავად კონფედერაციამ მატჩის შედეგი ძალაში დატოვა.



რომარიო

„ფლამენგომ" ასეთი მარცხის შემდეგ, როგორც იტყვიან, ადმინისტრაციული ზომები მიიღო, გარიცხა ვარსკვლავი რომარიო. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, მისი სიტყვით, „ცოტა გაისეირნა". ამას იგი ადრეც აკეთებდა და იმასაც კი ამბობდა, რომ ღამის გართობის შემდეგ უკეთესადაც კი თამაშობს. იმის გამო, რომ ასეთ დროსტარებას „ფლამენგოს" წაგება მოჰყვა, კლუბის ხელმძღვანელობა ამჯერად შეურიგებელი აღმოჩნდა: „რომარიო იმ დროს ერთობოდა, როცა ჩვენი გულშემატკივრების მილიონები შინ ისხდნენ და მწარედ მოთქვამდნენ" — განაცხადა „ფლამენგოს" პრეზიდენტმა ედმუნდო სანტოს სილვამ. პრეზიდენტმა დაუმატა, რომ „რომარიოს ერა" დამთავრდა და კლუბი მას ახლოსაც არ გაიკარებს.



ედმუნდო

მიმომხილველებმა ისიც გაიხსენეს, რომ რომარიოს ბევრჯერ დაურღვევია დისციპლინა. ერთი თვის წინათ მან ვარჯიშის გაცდენის გამო განაცხადა, რომ მწვრთნელები ნებას აძლევდნენ თამაშის მომდევნო დღეს დაესვენა. ამის შესახებ მწვრთნელებმა... არაფერი იციან! რომარიოს უდისციპლინობის მიუხედავად გულშემატკივრები, განთქმული ბრაზილიური „ტორსიდა" მაინც ყოველთვის მის მხარეზეა, მაგრამ, რა თქმა უნდა, „ფლამენგოში" რომარიოს არავინ დააბრუნებს. ეს თვით ფეხბურთელს, როგორც გაირკვა, ნაკლებად აღელვებს. იგი მალე თამაშს დაიწყებს, თუმცა დასადგენია — სად? ცნობილი გახდა, რომ მისი ყიდვა სურს „ფლამენგოს" მოსისხლე მტერ „ვასკო და გამას". როგორც რომარიოს აგენტი ამბობს, მასთან მოლაპარაკება აქვს კიდევ 4 კლუბს, მათ შორის საუდის არაბეთის „ალ-ნასრს", რომელსაც იანვარში ბრაზილიაში ახალ საერთაშორისო ტურნირში — მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობა მოელის და ამდენად, რომარიო „არ აწყენდა".

კიდევ ერთი აბზარი — ედმუნდო ედმუნდოდ რჩება! მას პატიმრობა აქვს მისჯილი წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობის გამო, მაგრამ ვალდებულია ციხეში მხოლოდ ღამე გაათიოს, დღისით კი შეუძლია, რამდენიც უნდა, ითამაშოს წრიულ ჩემპიონატში. იგი „ვასკო და გამას" საუკეთესო ბომბარდირი გახდა — 13 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მეოთხედფინალში „ვასკო" „ვიტორიას" ხვდებოდა. კლუბის ხელმძღვანელობამ არ მოუთმინა ედმუნდოს გასახდელში ხულიგნური საქციელი და ორი მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა. მით უარესი კლუბისათვის. „ვასკო" დამარცხდა (ედმუნდო მხოლოდ მესამე მატჩში მონაწილეობდა) და ბრძოლას გამოეთიშა.

აი ბრაზილიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის საუკეთესო სნაიპერების სია: ალექს ალვესი („კრუზეირო") — 22 გოლი, გილიელმე („ატლეტიკო მინეირო") — 20, ლუიზაო („კორინთიანსი") — 17, ფრანსა („სან-პაულუ") — 16, მარსელინიო კარიოკა („კორინთიასი") — 14.



დუნგა

## „კორინთიანსი" ან „ატლეტიკო მინეირო"

ბრაზილიის ჩემპიონატის 22 მონაწილიდან ბრძოლას ორად ორი კლუბიღა აგრძელებს: სან-პაულუს „კორინთიანსი" და „ატლეტიკო-მინეირო".

„ატლეტიკო მინეიროს" სამი შეხვედრის გამართვა დასჭირდა ნახევარფინალში „ვიტორიის" დასაძლევად. პირველი მატჩის იოლად მოგების — 3-0 შემდეგ, მოულოდნელად დამარცხდა — 1-2 და მხოლოდ მესამე შეხვედრის კვლავ დამაჯერებლად მოგებით — 3-0 მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

# რა ხდება ქვეყანაზე

## დოპინგის წინააღმდეგ – მთელი პლანეტა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიწონა დოპინგის საწინააღმდეგო მსოფლიო სააგენტოს (WADA) წამოწყება.

ახალი ორგანიზაცია, რომლის შტაბსადგომი ლოზანაშია, კოორდინირებას გაუწევს, წარმართავს და განავითარებს გლობალური ქმედების გაძლიერებას დოპინგის საშუალებათა აღმოსაფხვრელად. WADA-ს ფრიად საყურადღებო ამოცანაა აკრძალული პრეპარატების ერთიანი სიის შედგენა — დამტკიცება, სპორტსმენთა მოულოდნელი ტესტირების კოორდინაცია არასაშეჯიბრო პერიოდში, ჩამორთმევის საერთო წესების შემუშავება, დოპინგსინჯის შენახვა და ანალიზი, სანქციათა სრულყოფა, რომლითაც დაისჯებიან სპორტსმენები, და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

WADA-ს სათავეში უდგას სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, კანადელი დიკ პაუნი, წევრებია ცნობილი სპორტსმენები: ამერიკელი ფრენბურთელი რობერტ სტვერტლიკი, იტალიელი მოთხილამურე მანუელა და ჩენტა და ნორვეგიელი მოციგურავე იუხან-ოლაფ კოსი.

WADA-ს შექმნას მთელმა მსოფლიომ დაუჭირა მხარი, აღმოჩნდნენ აქტიური მოწინააღმდეგენიც, უმთავრესად ამერიკელები. მათ კრიტიკას საფუძვლად უდევს სააგენტოს საქმიანობის გაკონტროლება. ის, რომ WADA პრაქტიკულად დამოუკიდებელი ორგანიზაცია იქნება, შტატებს ხელს არ აძლევს.

სოკმა „საწყისი ხარჯებისათვის" 25 მილიონი დოლარი გამოჰყო.

## ტელეოპერატორსაც შეაფურთხეს

რამდენიმე სკანდალური სცენით აღინიშნა „დეტროიტ რედ უინგსის" ერთ-ერთ ბოლო მატჩში ნხლ-ს აუტსაიდერ „ტამპა-ბეი ლაიტნინგთან" დამარცხება. ჯერ გუნდის ხელმძღვანელმა სკოტ ბოუმენმა ხელი ჰკრა ტრიბუნის ქვეშ სათავსოში ფლორიდის ტელევიზიის ოპერატორს, წაბორძიკებულმა თავი ვერ შეიკავა და მენეჯერ ქალს აპარატი მოარტყა. მესამე პერიოდში კი რაღაცით უკმაყოფილო „დეტროიტის" კაპიტანმა აიზერმანმა სცადა ხელიდან გამოეტაცა იმავე ოპერატორისათვის კამერა და ბოლოს, აგრესიულმა თავდამსხმელმა ლაპოინტმა ტელევიზიის მუშაკს ლანძღვა-გინება არ აკმარა და შეაფურთხა.

დაზარალებულმა შეწყვიტა მუშაობა და დატოვა სარბიელი.

მსგავსი რამ „რედ უინგსის" მატჩებში ჯერ არ ახსოვთ, რომ მომხდარიყო. ჩანს, ჰოკეისტებს ვარსკვლავური ავადმყოფობა დარევიათ.

## შედეგიანობა სულაც არაა მთავარი...

... მაჩვენებელი ამერიკაში სპორტული კლუბის საბაზრო ღირებულების ასამაღლებლად. როგორც გამოკვლევამ გამოავლინა, ჩრდილოამერიკის ჰოკეისა და კალათბურთის ეროვნული ლიგების ყველაზე ძვირადღირებული გუნდებია ნიუ-იორკის „რეინჯერსი" და „ნიქსი", რომლებიც სულაც არ ბრწყინავენ მაღალი შედეგიანობით.

მიახლოებითი გამოთვლით, „ნიქსი", რომლის ოცნებაა გაათანაბროს წაგებისა და გამარჯვებების ბალანსი, 334 მილიონი დოლარი ღირს, ესე იგი, ნებისმიერ ნბა-ს გუნდზე უფრო ძვირი. რაც შეეხება ნიუ-იორკის რეინჯერსელებს მათ ნხლ-ის რეკორდი ეკუთვნით — 236 მილიონი დოლარი. სხვა ვერაფრით მოიწონებს „რეინჯერსი" თავს: წლევანდელ სეზონში გუნდმა ორჯერ მეტი შეხვედრა დათმო, ვიდრე მოიგო.

ორივე გუნდს, სხვათა შორის, ერთი მფლობელი ჰყავს „კეიბლვიჟნის" საკაბელო ტელეკომპანია, რომელსაც უზარმაზარი შემოსავალი აქვს სპორტული გადაცემების წყალობით. დანარჩენი გუნდების „ნიხრი" ასე გამოიყურება:

ნბა — „ჩიკაგო ბულზი" (307 მილ. დოლარი), „ლოს-ანჯელესის" ლეიკერსი" (282 მილ.), „პორტლენდ გრეილ ბლეიზერსი" (257 მილ.), „ფინიკს სენზი" (239 მილ.).

ნხლ — „ფილადელფია ფლეიერზი" (210 მილ.), „ბოსტონ ბრიუინზი" (197 მილ.), „დეტროიდ ბლეკ უინგზი" (194 მილ), „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსი" (185 მილ.).

შედარებისათვის: მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული საფეხბურთო გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი" დაახლოებით 150 მილიონი დოლარი ღირს. 100 მილიონ დოლარამდე — ევროპული გრანდები „ბავარია" და „მილანი". ყოფილი საბჭოთა კავშირის გუნდებიდან კიევის „დინამო" — 20 მილიონი დოლარი. მოსკოვის „სპარტაკის" ღირებულება 12 მილ. დოლარია.

## ჩვეულებრივი ხანძარი თუ დივერსია?

ინგლისის თასის პირველი რაუნდის განმეორებითმა მატჩმაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული „უიკომბ უონდერერსა" და „ოქსფორდ სიტის" შორის. საქმე ის იყო, რომ თითქმის ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ, როცა ანგარიში კვლავ 1-1 იყო, სტადიონზე სახანძრო სირენა გაისმა და „ადამს პარკის" ტერიტორია ყველამ დატოვა. როგორც გაირკვა, ერთ-ერთი ტრიბუნის ქვეშ, რომელზეც სტუმრების, ოქსფორდის კლუბის გულშემატკივრები ისხდნენ, — ორი ტრანსფორმატორის ფარს ცეცხლი გაუჩნდა. იგი მეხანძრეებმა უმალ ჩააქრეს. ამ შემთხვევამ ბევრს გაახსენა ინგლისის სტადიონებზე ელექტროხელსაწყოების გაუმართაობა, რაშიც აზიური ბოროტმოქმედების სინდიკატის ხელი ერია, რომლებმაც უამრავი მოგება ნახეს იატაკქვეშა ტოტალიზატორებში.

## თქვენ მართალი არა ხართ, ბატონო სამარანჩ!

ასე ფიქრობს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი. მას არ მოეწონა სპეციალური კომიტეტის მიერ, რომელსაც სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ხელმძღვანელობდა, XX საუკუნის უძლიერესი სპორტსმენების შერჩევა. იგი ფიქრობს, რომ კომიტეტი პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

ყველას თავისი სიმპათიები აქვს, შეიძლება კამათი და შეთანხმების მიღწევაც. ლუისი, ცხადია, დიდი სპორტსმენია, მაგრამ უძლიერესი მაინც ოუენია. ალი, რა თქმა უნდა, შესანიშნავი მოკრივეა, მაგრამ სამოქალაქო პოზიციაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. გავიხსენოთ მისი უცნაური საქციელი, ოლიმპიურ ოქროს მედალს, რომელიც მან რომში ქვემძიმე წონაში მოიპოვა, მდინარეში გადაუძახა. თუკი კრივში მიღწევებზეა ლაპარაკი, აქ ჯო ლუისს მეტოქე არა ჰყავს. 1949 წლამდე იგი 13-ჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი.

ათეულში აუცილებლად უნდა შესულიყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მარათონელი მორბენალი ეთიოპიიდან აბებე ბიკილა. მან აფრიკელებს ოლიმპისაკენ გაუკაფა გზა. ტყუილად დაივიწყეს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნიგერიელი სონია ჰენი. რაც შეეხება რუსეთს, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობაში 1952 წლიდან ჩაერთო და ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა, იგი, საერთოდ, დაივიწყეს. როგორ შეიძლებოდა ლარისა ლატინინას იგნორირება! რა უნდა გვქონდეს ნადია კომანეჩის საწინააღმდეგო, მაგრამ მისი რა საჭირო იყო ამ კომიტეტისათვის სამარანჩის სათავეში ჩაყენება?




# ივანე გამხიტაშვილი



ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ, წლევანდელი წარმატებების მილოცვებს ყველა შემხვედრისგან ჩვეული ღიმილით იღებდა და ასევე ჩვეული თავმდაბლობით იხდიდა მადლობას. ეს უნიჭიერესი სპორტსმენი საოცრად საყვარელი პიროვნება იყო ყველასთვის. სამბოს ეროვნულ ნაკრებშიც სამაგალითო იყო იმ თვისებებით, რაც ჭეშმარიტ ათლეტს ამკობს და სულიერად ამაღლებს.

სამთავისელი ყმაწვილის ნიჭი პირველმა შოთა კაციაშვილმა შენიშნა, მერე მის დაოსტატებას ხელი მოჰკიდა ოლეგ იაძემ და თავისი თაობის რჩეულებთან ერთად იარა დიდი სპორტის ძნელსავალ გზაზე. მას შემდეგ, რაც 11 წლის წინათ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკებში, არაერთი წარმატება მოუტანა სამშობლოს. ბოლო 8 წლის განმავლობაში. ევროპისა და მსოფლიოს არც ერთი შეჯიბრებიდან არ დაბრუნებულა უმედლოდ. როგორღაც უიღბლობაც სდევდა — ხუთ-ხუთჯერ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტი თავისი ზეობის დღეს ელოდა. წლეულს საწადელი მაინც აისრულა — გახდა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს თასიც მოიგო. თავადაც თვლიდა, რომ ნავსი გატყდა, ამიერიდან წინსვლის დიდი იმპულსი მიეცა, მაგრამ ყველა ჩანაფიქრი უკვე აუხდენელ ოცნებად იქცა მისთვისაც, მწვრთნელებისთვისაც და ქომაგებისთვისაც.

ავტოკატასტროფამ სხვადასხვა დროს ჩვენი არაერთი სახელოვანი სპორტსმენის სიცოცხლე გამოგვტაცა, ახლა კი 26 წლის ასაკში, მარადისობაში გარდასულთა სულებს ივანე გამხიტაშვილიც შეუერთდა. მისმა უდროოდ წასვლამ ამქვეყნიდან, საერთო გლოვა გამოიწვია ჩვენს სპორტულ სამყაროში.

ასეთი ვაჟკაცები თავიანთი ღვაწლითა და რაინდულად განვლილი ცხოვრებით სამარადისოდ რჩებიან მშობელი ხალხის მეხსიერებაში. ივანე გამხიტაშვილის მთელი ცხოვრება კი იმის მკაფიო მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს, როგორ უნდა წარმოაჩინო ღირსეულად ერის გენი და საუკეთესო თვისებები მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

მშობელი ხალხის ცრემლი გააცილებს, შაბათს, თავის სამაგალითო შვილს უკანასკნელ გზაზე.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
სამბოს ეროვნული ფედერაცია.

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა სამბოს გამოჩენილი ქართველი ფალავანი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, 1999 წლის ევროპისა და მსოფლიო თასის მფლობელი, საზოგადოება „შევარდენის" წევრი

ივანე (ვანო) გამხიტაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შსს აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა ამავე აკადემიის სამართალმცოდნეობის დასწრებული სწავლების III კურსის სტუდენტი, მსოფლიოში სახელგანთქმული სამბისტი

ივანე (ვანო) გამხიტაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**17 დეკემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** სუპერ-მატჩი (19.45), იბერია. ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), საქართველოს ხმა. სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (13.20, 17.20), ბრაზილიის (15.05), შოტლანდიის (19,15,21.10), გერმანიის (21.55), საფრანგეთის: ოსერი – პსჟ (1.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** ფრენბურთი. იტალია – ჩინეთი (8.00), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (16.00), ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი. ბიატლონი (13.00, 17.30, 20.30), ბობსლეი (14.15), სამთო თხილამურები (15.00, 18.45, 16.30, 19.45). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები (23.00). სუმო. დიდი საერთაშორისო ტურნირი (0.00 ), ცხენოსნობა. საშობაო ტურნირი, ლონდონიდან (1.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.30).

**18 დეკემბერი. შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.15), გერმანიის (14.55, 18.25), შოტლანდიის (16.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები", იურგენ კლისმანი (23.05). მატჩი თქვენი შერჩევით: იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატებიდან (23.25), შერჩევაში „დამარცხებულის" მატჩი (1.35). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (5.00, 11.40, 23.30). ***ESPN.*** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი (4.00). კალათბურთი. ნბა (4.30, 11.00, 19.30). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.25). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები: მსოფლიო თასი (13.00. 20.30, 14.30, 16.00, 18.00, 19.00, 21.30). ფეხბურთი, „ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები" (23.00). სუმო. იაპონიის დიდი საერთაშორისო ტურნირი (0.00), ცხენოსნობა. საშობაო ტურნირი, ლონდონიდან (1-00).

**19 დეკემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40), ***იბერია.*** (9.15). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (13.15, 19.55), იტალიის (14.55, 23.25), ესპანეთის (17.20), საფრანგეთის (19.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: მანჩესტერ იუნაიტედი – ვესტ ჰემი (8.00), ლიდს იუნაიტედი – ჩელსი (20.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი (13.15, 14.00, 15.00, 16.15, 17.00, 18.00, 19.00, 20.30). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები (23.00), სუმო. იაპონიის დიდი საერთაშორისო ტურნირი (0.00), ცხენოსნობა. საშობაო ტურნირი, ლონდონიდან (1.00).

## ამჯერად „ქალს ნუ ეძებთ"

სკანდალებით ცნობილ ამერიკელ მოკრივეს მაიკ ტაისონს, რომელიც ორჯერ უკვე მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს ქალის გაუპატიურებისათვის, მორიგი ფათერაკის გამო კვლავ პატიმრობა ელის, ვინაიდან შიმშილით თავის შინაურ ქრცვინს ბოლო მოუღო. ახალი სასჯელის გამო პროტესტს აცხადებენ ფაუნის მოყვარულთა კლუბები იმ მოტივით, რომ: „პაწია მაიკი" ციხის თაგვებსაც იგემებს.

## „ტაისონს ყურზე არ ვაკბენინებ" – აცხადებს ფრენსისი

ცნობილი გახდა, რომ 2000 წლის 29 იანვარს მაიკ ტაისონი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონს 35 წლის ჯულიოს ფრენსისს შეხვდება. ტაისონთან შედარებით, ეს მოკრივე დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ 21 ბრძოლა აქვს მოგებული და 7 წაგებული. კრივში კი კიკბოქსინგიდანაა მოსული, ციხეში ჯდომაც მოუსწრია. „მე კრივის ყველა სიბინძურეს ვიცნობ და ტაისონს ყურზე არ ვაკბენინებ" – აცხადებს ფრენსისი. ამ პაექრობის ბილეთები თითქმის მთლიანად გაყიდულია.



## კროსვორდი ჩაწერეთ მსოფლიო საფეხბურთო კლუბები

**თარაზულად:** 2. ესპანეთის, 3. ბელგიის, 6. იტალიის, 7. ამერიკის, 9. ჰოლანდიის, 11. ჰოლანდიის, 13. იტალიის, 15. პორტუგალიის, 16. ჰოლანდიის, 21. გერმანიის, 22. შვეიცარიის, 23. იტალიის, 24. პორტუგალიის, 25. ესპანეთის.

**შვეულად:** 1. იტალიის, 3. მექსიკის, 4. თურქეთის, 5. ინგლისის, 8. გერმანიის, 10. ესპანეთის, 12. დანიის, 14. ესპანეთის, 17. საფრანგეთის, 18. ირანის, 19. ლუქსემბურგის, 20. ბელგიის.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კომენტატორი, 7. ყარაჩაი, 8. შუქერი, 11. ტაბალუა, 12. დგარი, 13. ტალანტი, 16. კლუივერტი, 17. კრუტიკოვი, 20. „სელტიკი", 24. ალტაი, 25. ანაკლია, 26. შირერი, 27. ჰილტონი, 28. უნივერსიადა. **შვეულად:** 1. კოლუმბი, 2. ინტრიგა, 3. ორბელიანი, 4. ფალკაო, 5. შახმურადოვი, 9. ლახტი, 10. ტრეზორი, 14. ალექსანდრია, 15, გურიელი, 18. ბაკურიანი, 19. შელია, 21. დავიდსი, 22. მადრიდი, 23. სკონტო.

## საჭადრაკო ამოცანა

### გივი მოსიაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლh3! მუქარა 2. ლh7X.
1. ...მe5 2. მe7X. 1. ...მf4 2. მed4X.
1. ...gh 2. g4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე.